პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

შაბათი,
22
თებერვალი
1936 წ.
№ 43 4502

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

გაუმარჯოს საქართველოს მუშებსა და გლეხებს, რომლებმაც დაამხეს მენშევიკთა, ქართველი ხალხის საზიზღარ გამცემელთა, გათახსირებულ მოღალატეთა ბატონობა!

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური
კომიტეტის ლოზუნგებიდან

სტახანოვური გაზაფხული

ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის ბედნიერი მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით, სიხარულით და ინტერესით ემზადებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლის სახელოვან იუბილესათვის. ამ მზადებაშიც პოულობს მკაფიო გამოხატულებას ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების, ინდუსტრიის სოფლის მეურნეობის და კულტურის გიგანტური წინსვლის მაჩვენებლები. ამ მზადებასა და მასობრივ საზეიმო განწყობილებაში როგორც სარკეში, ისე მოსჩანს მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის უმაგალითო ამაღლება და სტახანოვური ტემპებით გაქანების წყურვილი,—სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე ახალი სასახელო გამარჯვებების მოსაპოვებლად.

1935 წელი იყო საქართველოს სოფლის ყველაზე უფრო მძლავრი აღმავლობისა და გაქანების წელი. არ ყოფილა თითქმის არც ერთი სახელმწიფოებრივი და გეგმიური დავალება, რომელიც საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველებსა და დამკვრელებს გადაჭარბებით არ შეესრულებინოთ. და თუ წელს ყველგან, ქალაქებსა და ახალმშენებლობებზე, სავაჭროებსა და საკოლმეურნეო—ბაზრებზე ასე გადიდდა უხვი პროდუქტების შეუფერხებელი მიწოდება—ეს ხომ საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების ყველაზე თვალსაჩინო და ნათელი ილუსტრაციაა.

მაგრამ ამ მიღწევებით ერთი წუთითაც არ შეიძლება დაკმაყოფილება. 1936 სტახანოვურმა წელმა უნდა მოგვცეს კიდევ ახალი გამარჯვებანი კიდევ უფრო მაღალსაფეხურზე უნდა ავიდეს სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურა, განმტკიცდეს და ამაღლდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ხარისხი, გადიდდეს პროდუქტების რაოდენობა და კიდევ უფრო ამაღლდეს კოლმეურნე მასების მატერიალური და კულტურული დონე.

ამ საბრძოლო ამოცანათა ბოლშევიკურად გადაჭრის კონკრეტულ პროგრამას წარმოადგენს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება 1936 წლის საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმის შესახებ. ყველა კულტურის მოსავლიანობის საგრძნობი გადიდება—ასეთია ამ დადგენილების ძირითადი აზრი. ახლა არის ყველა პირობა, ეს ამოცანა განხორციელდეს დიდი წარმატებით. ამ საშუალებას ჩვენ გვაძლევს მძლავრი სამანქანო ტექნიკა, სოფლის მეურნეობის ახალი, მოწინავე კადრები. ორგანიზაციულად საკმაოდ განმტკიცებული კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მექანიკური წევის მძლავრი ენერგეტული ბაზით.

მაგრამ ყოველივე ამას გამოყენება უნდა. საქმის წარმატებას ისე, როგორც ყოველთვის, წყვეტს ბოლშევიკური სიფხიზლე, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის უნარი, თაოსნობა და ორგანიზატორობა საგაზაფხულო თესვის მომზადებისა და ჩატარების საქმეში.

ამ მხრივ კი ჯერჯერობით ყველგან არ გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. უდარდელობის ელემენტებმა, თვითკმაყოფილებით გამოწვეულმა დემობილიზაციურმა განწყობილებამ აქა-იქ იჩინეს თავი. ამის დამამტკიცებელია საგაზაფხულო სათესლე მასალის შეგროვების დავალებათა შეუსრულებლობა ტფილისის, თელავის, სიღნაღის, ლიუქსემბურგის და კასპის რაიონებში. კარტოფილის და ბალახეულობის თესლის შეუგროვებლობა გორის, დუშეთის და ყარაიას რაიონებში. სათესლე მასალის გაწმენდის რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 68 პროცენტით და ეს მაშინ, როდესაც ამ მუშაობის ჩატარების ვადა უკვე ამოიწურა.

სათესლე მასალის მომზადებაში ასეთი მდგომარეობა იმის მაჩვენებელია, რომ ზოგიერთ რაიონში ნაშაულებრივად ეკიდებიან მოსავლიანობის გადიდების უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა გატარებას. განა შეიძლება სათესლე მასალის ორგანიზაციისადმი ასეთი დამოკიდებულების მოთმენა მაშინ, როდესაც არსებული ფონდის საკონდიციოდ შემოწმება თესლეულის 30—40 პროცენტით უვარგისობას გვიჩვენებს?

დავუმატოთ ამას მთელ რიგ მტს-ში რემონტის დავალებათა შეუსრულებლობა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთების გაჭიანურება კოლმეურნეობებში და ჩვენ მივიღებთ საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში ჩამორჩენის საკმაოდ მთლიან სურათს.

ის ხელმძღვანელი მუშაკი, რომელიც ბევრს ლაპარაკობს მოსავლიანობის გადიდებაზე და ამავე დროს პრაქტიკულად, ყოველდღიურად არ იბრძვის თესლის შეგროვების, მისი გაწმენდა - შემოწმების, ინვენტარის კეთილსინდისიერი რემონტის, ნაკელის გატანის და მუშა-საქონლის მომზადებისათვის, არის მოლაყბე და არა ხელმძღვანელი.

ბელადის მოწოდება იმის შესახებ, რომ უახლოეს ერთი-ორი წლის განმავლობაში მარცვლეულის მოსავალი გადიდდეს 7-8 მილიარდ ფუთამდე—მოითხოვს დაუღალავ, გმირულ, სტახანოვურ მუშაობას და ბრძოლას. ეს მოითხოვს ყურადღების განსაკუთრებით გამახვილებას ხარისხობრივი თესლის მომზადების, კადრების შერჩევა-განაწილების, და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ეფექტურად გამოყენების საქმისადმი. ეს მოითხოვს ყველა ადგილობრივი რესურსის, პირველ რიგში—ნაკელისა და მერგელის (ტკილი) მაქსიმალურად გამოყენებას მოსავლიანობის გასადიდებლად. ეს მოითხოვს კოლმეურნეობებში შრომის ისეთ ორგანიზაციას, რომ ყველა კოლმეურნე იყოს დაინტერესებული და აქტიურად ჩაბმული მაღალი სტახანოვური მოსავლისათვის ბრძოლაში.

დადგა 1936 სტახანოვური წლის მაღალი მოსავლისათვის გაჩაღებული ბრძოლის პერიოდი. საგაზაფხულო თესვისათვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის დროზე და ხარისხობრივად ჩატარებამ უნდა უზრუნველყოს თესვის დაწესებულ ვადებში დამთავრება და მოსავლიანობის იმ გეგმების გადაჭარბებით შესრულება, რომელიც მიცემული აქვთ ცალკე რაიონებს, სოფლებსა და კოლმეურნეობებს.

მაღალი მოსავლის წელი, მისი სტახანოვური გაზაფხული ჩვენგან მოითხოვს თესვის საბრძოლო გეგმებისათვის გაშლილ, ბოლშევიკურ, სტახანოვურ ბრძოლას. ამ ბრძოლაში ჩვენ ბრწყინვალედ, სასახელოდ უნდა გავიმარჯვოთ!

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს—ამხ. ლ. ბერიას

საქართველოს ლენინური კომკავშირის მე-12 ყრილობა მთელი მუშური და საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სახელით მხურვალე კომკავშირულ სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი სტალინის ერთგულ მოწაფესა და თანამებრძოლს. მშრომელი ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარს, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების საყვარელ მებრძოლ ხელმძღვანელს.

ჩვენ სიამაყით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს და ამიერ-კავკასიის ლენინური კომკავშირი, რომელსაც თქვენ ზრდით ბოლშევიკების პარტიისა და დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულების საფუძველზე, ლენინურ-სტალინური პრინციპულობისა და პარტიის და მუშათა კლასის მტრებისადმი შეურიგებლობის საფუძველზე, პარტიის ერთგული თანაშემწე იყო იმ უდიდესი მიღწევებისათვის ბრძოლაში, რომლებიც მოიპოვეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა თქვენი სახელოვანი ხელმძღვანელობით.

ეს გამარჯვებანი შედეგია საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის დირექტივათა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი ბელადის ამხ. **სტალინის** მითითებათა განუხრელად განხორციელებისა.

ეს გამარჯვებანი შედეგია ხელმძღვანელობის სტალინური სტილისა, რომელსაც ყოველდღიურად ასწავლით და უვითარებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი, ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს.

თქვენი მოხსენება—„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის" — ეს უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-პარტიული დოკუმენტი და უძვირფასესი განძი ბოლშევიზმის მატიანეში თითოეული ბოლშევიკისთვის, თითოეული კომკავშირელისთვის განუყრელი წიგნია, რომლითაც ჩვენ ვსწავლობთ ბრძოლას, გამარჯვებასა და მშენებლობას.

ისტორიული ფაქტებისა და დოკუმენტების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზით თქვენ გადაგვიშალეთ გმირული ისტორია ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა, რომლებიც იქმნებოდნენ და ყალიბდებოდნენ პარტიის ბელადის დიდი **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით.

ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი! როგორც მთელმა ჩვენმა პარტიამ ისე ლენინურმა კომკავშირმა, შეიარაღებულმა ამ ისტორიული დოკუმენტით, უფრო აამაღლა თავისი იდეურ-პოლიტიკური დონე, უფრო მეტად გამოიბრძმედა იგი მუშათა კლასის ყველა მტრისადმი ულმობელი შეურიგებლობის საფუძველზე, უფრო აღზარდა ჩვენში უსაზღვრო სიყვარული **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი**.

იმ დღეებში, როდესაც მთელი საქართველოს მშრომელები ემზადებიან თავისი სახელოვანი თხუთმეტი წლისთავისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავისათვის, ჩვენ, საქართველოს კომკავშირის მრავალათასიანი არმიის სახელით გარწმუნებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი, რომ სოციალიზმის გამარჯვებებისთვის მთელი ძალღონისა და ცოდნის დარაზმვით საყოველთაო სახალხო სტახანოვური მოძრაობის უფრო ფართოდ და ღრმად გაშლით საქართველოს კომკავშირი უფრო მეტად აამაღლებს იმ მთელი თავისი მუშაობის ხარისხს, რომლის მიზანია მშრომელი ახალგაზრდობის, **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგულთა—ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს შვილთა აღზრდა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა და მსოფლიოს ყველა მშრომელთა დიდ ბელადს — **ამხანაგ სტალინს!**

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების საყვარელ მებრძოლ ხელმძღვანელს, ჩვენს ლავრენტი **ბერიას!**

წინ, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისაკენ!

ამხ. ი. იაკოვლევის სიტყვა მეცხოველეობის მოწინავეთა საკავშირო თათბირზე

საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე—1934 წლის მიჯნაზე—ამხანაგმა **სტალინმა** მოუწოდა პარტიას, ჩვენს ქვეყანას — მიეღწია მეცხოველეობის აღმავლობისათვის. მან სთქვა:

„მეცხოველეობის საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს მთელმა პარტიამ, ყველა ჩვენმა მუშაკმა, პარტიულმა და არაპარტიულმა..."

ერთი წლით ადრე, 1933 წლის დასაწყისს, დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ ყრილობაზე ამხანაგმა **სტალინმა** სთქვა:

„ჩვენ კი, ბოლშევიკები, შევეცდებით, რათა ყველა კოლმეურნეს ჰყავდეს თითო ძროხა".

ამ თათბირზე პარტია, მთავრობა და ჩვენი სოფლის მოწინავე ადამიანები ამოწმებენ, თუ როგორ სრულდება ჩვენი პარტიის ბელადის დავალება.

I

სამი შემოწმება

პირველი შემოწმება—ეს არის პირუტყვის რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში. ეს შემოწმება ყველაზე მკაცრი და ყველაზე მიუდგომელია.

ამხანაგმა **სტალინმა** პარტიის XVII ყრილობაზე გამოაქვეყნა ცხრილი, რომელშიც გვიჩვენა, თუ რა უდიდესი ზიანი მიაყენა მეცხოველეობას კულაკობამ და იმან, რომ ღარიბთა და საშუალო გლეხთა ნაწილი მიენდო კულაკურ აგიტაციას საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ წლებში.

ახლა ჩვენ შეგვიძლიან ამ ცხრილს დავუმატოთ 1935 წლის სათანადო ცნობები. აი რა გამოდის.

მილიონი სულობით

	1916 წ.	1933 წ.	1935 წ.
1. ცხენი	35,1	16,6	15,9
2. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	58,9	38,6	49,2
3. ცხვარი და თხა	115,2	50,6	61,0
4. ღორი	20,3	12,2	22,5

ორი წლის—1934 და 35 წლების განმავლობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგი ჩვენს ქვეყანაში 10 მილიონზე მეტი სულით გაიზარდა **(ტაში).**

მეორე შემოწმება—აგრეთვე მკაცრი და მიუდგომელი—ეს არის უძროხო კოლმეურნეთა რაოდენობა.

ორი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ უძროხო კოლმეურნეებს შეღავათიან პირობებში გადასცა 3.600 ათასი ხბო, დეკეული და ძროხა **(ტაში).** მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით, საკოლმეურნეო წყობილების მეოხებით, ჩვენი პარტიის მეოხებით, ამხანაგ **სტალინის** მეოხებით, 3.600 ათასმა საკოლმეურნეო კომლმა გაიჩინა პირუტყვი, უძროხოს ნაცვლად ძროხიანი გახდა **(ხანგრძლივი ტაში).**

ბოლოს, **მესამე შემოწმება**—ეს თქვენ ხართ, მეცხოველეობის თათბირის მონაწილენი.

აქ ესწრება 1.500 კაცი. თქვენ ხომ აქ შემთხვევითი ადამიანები არა ხართ. თქვენ აქ იმიტომ კი არ მოხველით, რომ ვიღაცამ შემთხვევით გაგიცნოთ ოლქში, ან იმიტომ კი არ მოხველით, რომ **მთელმა ქვეყანამ** შეგარჩიათ მეცხოველეობის იმ დარგის ნაყოფიერების ნიშნის მიხედვით, რომელშიაც თქვენ მუშაობთ.

აქ ჩამოსვლის უფლება მოიპოვეს მხოლოდ იმ ფერმების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, რომლებმაც ერთ ძროხაზე საშუალოდ მიიღეს 3.000-მეტი ლიტრი რძე საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში და 2.500 და უფრო მეტი ლიტრი აღმოსავლეთისა და მთიან რაიონებში. აქ ჩამოსვლის უფლება მოიპოვეს ისეთი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშაკებმა, რომლებმაც თვითეული დედაღორისაგან წლიურად მიიღეს 22-ზე მეტი გოჭი, თვითეული ღორისაგან — 50 ფუთზე მეტი ნამატი წლიურად. აქ ჩამოსვლის უფლება მოიპოვეს და აქ ესწრებიან მხოლოდ ის კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, რომლებმაც მიიღეს მერინოსის თვითეული ცხვრისაგან 5.5 კილოზე მეტი მატყლი, „პრეკოსის" ჯიშის თვითეული ცხვრისაგან— 4 კილოზე მეტი, უხეშ-მატყლიანი ცხვრისაგან—3.2 კილოზე მეტი. ბოლოს, კრემლში ჩამოსვლის უფლება, რათა განიხილონ მეცხოველეობის საკითხები მუშურ-გლეხურ მთავრობასთან, რათა ესაუბრონ ამხანაგ **სტალინს**, მიიღეს მეცხენეობის ფერმათა იმ მუშაკებმა, რომლებმაც მოგვცეს 90-ზე მეტი კვიცი ყოველ 100 ფაშატზე.

აი, ამხანაგებო, ასეთი ნაყოფიერების მოცემა შეუძლიან მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობას, როცა მის სათავეში დგანან გამოცდილი, მცოდნე, თავისი საქმის მოყვარული ადამიანები.

ეს ნიშნავს, რომ განსაზოგადოებული მეცხოველეობის არსებობის ჯერ კიდევ ძალიან მცირე ვადების მიუხედავად, უკვე გაიზარდნენ მეცხოველეობის მოწინავენი, რომლებიც იძლევიან მეურნეობის ისეთ ნაყოფიერებას, რომელიც ყოველ კაპიტალისტურ მეურნეობას შეეცილება.

აი, ამხანაგებო, ამხანაგ **სტალინის** მითითებათა შესრულების სამი შემოწმება. ეს სამი შემოწმება გვიჩვენებს, რომ მეცხოველეობა ჩვენს ქვეყანაში **წინ წავიდა. ჩვენ ამ სერიოზულ დაბრკოლებებსაც ვლახავთ.**

ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ სწორედ უკანასკნელი წლის განმავლობაში ფაშისტურმა გერმანიამ, ოფიციალური ცნობებით, დაჰკარგა ღორის მთელი სულადობის 10 პროცენტი, და რქიანი პირუტყვის მთელი სულადობის 6 პროც.

II

ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი მეცხოველეობის დარგში

მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ ლენინელები არ ვიქნებოდით, ჩვენ სტალინელები არ ვიქნებოდით, თუ ამ კარგ მონაცემთა მიხედვით ვიტყოდით: მეცხოველეობის პრობლემა გადაჭრილია, ახლა უკვე შეგვიძლია ცოტათი დავისვენოთო.

ჩვენ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს ჩვენს მუშაობაში მეცხოველეობის ხაზით და ამ ნაკლოვანებებს სიჩუმით გვერდს ვერ ავუქცევთ, თუ გვსურს საქმე წინ წავწიოთ.

ჩვენი მუშაობის **პირველი ნაკლი** ის არის, რომ **ცხვრის** სულადობის ზრდა ძალიან მცირეა.

მართლაც, შევადაროთ პირუტყვის რაოდენობის მხრივ 1916 წელი 1935 წელთან. რაღა გამოდის? გამოდის, რომ მხოლოდ ღორის სულადობის მხრივ გადავაჭარბეთ 1916 წლის სულადობას. ჩვენ ახლა გვყავს 22,5 მილიონი ღორი, ხოლო 1916 წელს იყო 20.3 მილიონი ღორი. მაშასადამე, ღორი ჩვენ ახლა უფრო მეტი გვყავს, ვიდრე წინარევოლუციურ 1916 წელს იყო.

როგორ არის საქმე ცხვრის მხრივ? ცხვარი და თხა ახლა 61 მილიონი სული გვყავს. სულადობა, როგორც უკვე ვთქვი, ორი წლის განმავლობაში 10 მილიონით გაიზარდა. მაგრამ განა ეს საკმარისია, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ 1916 წელს ჩვენში ცხვარი ერთიორად მეტი იყო?

ცხვრის მხრივ ჩვენ შეუწყნარებლად **ჩამოვრჩებით.** ცხვარი კი ისეთი ცხოველია, რომელიც აუცილებლად საჭიროა სახელმწიფოსათვის და თქვენთვის — გლეხებისათვის და გლეხი ქალებისათვის. მუდამ ხომ არ ივლით, ამხანაგო ქალებო, ჩითის კაბებში, დროა ზამთრობით თბილისა და შალის კაბა ჩაიცვათ. ამისათვის კი საჭიროა უფრო მეტი ცხვარი მოვაშენოთ.

მეცხოველეობის დარგში ჩვენი მუშაობის **მეორე ნაკლი** ის არის, რომ ცხენის რაოდენობა 1935 წელს რამდენადმე კიდეც შემცირდა 1933 წელთან შედარებით. 1935 წელს ცხენის სულადობა გაიზარდა 1934 წელთან შედარებით. მაგრამ იმდენად არასაკმაოდ, რომ ეს ვერ ჰფარავს 1934 წლის დანაკლისს 1933 წელთან შედარებით. ცხენს აქვს არა მარტო უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა, მას უდიდესი თავდაცვითი მნიშვნელობაც აქვს. მაშასადამე, **თვითეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომელიც უგულებელჰყოფს ცხენის შენარჩუნებისა და მოშენების საქმეს, ზიანს აყენებს არა მარტო თავის მეურნეობას, არამედ სახელმწიფოს თავდაცვასაც.** მაშასადამე, ცხენის მოშენებას უფრო ერთსულოვნად, უფრო სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი, ვიდრე ეს დღემდე იყო.

მეცხოველეობის დარგში ჩვენი მუშაობის **მესამე ნაკლი** ის არის, რომ, თუმცა ჩვენ წარმატებით ვუღებთ ბოლოს უძროხობას, თუ ჩვენს ქვეყანას საერთოდ ავიღებთ (3.600 ათასი უძროხო კოლმეურნე ორი წლის განმავლობაში ძროხიანი გახდა), მაგრამ ყველა მხარეში როდია ასე საქმე? არის მთელი რიგი მხარეები, რომლებიც ჩამორჩებიან, და ეს მხარეები აქ აშკარად უნდა დავასახელოთ, რათა მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იცოდეს, თუ როგორ ცუდად ასრულებენ ისინი ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ **სტალინის** მითითებებს უძროხობის ლიკვიდაციის შესახებ.

როგორც შემდგომ დაინახავთ, მე მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, **უკრაინა, აზოვ-შავი ზღვის მხარე და უზბეკისტანი!**

აქედან ჩანს, რომ ჯერ კიდევ ნაადრევია ჩვენი მეცხოველეობის მუშაკებისათვის მხართეძოზე წამოწოლა. ჩვენ უნდა მოვსპოთ უძროხობა არა მარტო საერთოდ საბჭოთა კავშირში, არამედ **თვითეულ მხარეში, რაიონში, ჩვენი ქვეყნის თვითეულ კოლმეურნეობაში.** ასეთი ამოცანა დაგვიყენა ამხანაგმა **სტალინმა.** ჩვენ იგი, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა გადავწყვიტოთ წელს და ამით 1936 წელს დავამთავროთ უძროხობის ლიკვიდაცია **(ტაში).**

მეოთხე ნაკლი ის არის, რომ ისეთი **მოწინავენი,** როგორიც თქვენა ხართ, ჯერ კიდევ ცოტანი არიან და ჩვეულებრივი ფერმების მეცხოველეობის პროდუქტულობა ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩება მოწინავეთა მეურნეობას.

მართლაც, შევადაროთ ჩვენი მეურნეობანი ჩვენი ქვეყნის ჩვეულებრივ მეურნეობებს.

მეცხოველეობის პროდუქტულობის მაჩვენებლები საშუალოდ საბჭოთა კავშირში და მოწინავეთა მეურნეობებში 1935 წელს:

	მოწინავეთა მეურნეობებში	საშუალოდ საბჭოთა კავშირში
ძროხის წველადობა სსრკ-ის ევროპულ ნაწილში	3.000 ლიტ. მეტი	1000 ლიტრი
ძროხის წველადობა სსრკ-ის დანარჩენ ნაწილში	2.500 ლიტ. მეტი	900 ლიტრი
ნაპარსი ერთ უხეშ-მატყლიან ცხვარზე	3,2 კილგრ. მეტი	1,4 კილგრ.
წლიური ნამატი ერთ დედა ღორზე	22 გოჭზე მეტი	9 გოჭი
სახორცედ დაკლული ღორის წონა	140 კილგრ. მეტი	80 კილგრ.
მიღებულია 100 ფაშატზე	90 კვიცზე მეტი	32 კვიცი

ეს, ამხანაგებო, ისეთი ცნობებია, რომლებიც ჩააფიქრებენ მეცხოველეობის დარგში მომუშავე თვითეულ მუშაკს.

თქვენ, ხომ სხვა კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან შედარებით არავითარი უპირატესობა არა გაქვთ. თქვენ არავითარი განსაკუთრებული მექანიზაცია არ გაგაჩნიათ.

ჩვენს მეცხოველეობაში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც ტრაქტორები, არც კომბაინები არ მოიპოვება. თქვენ გაქვთ **ერთი უპირატესობა—ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენს ქვეყანაში: თქვენ გაქვთ უნარი, თქვენ გაქვთ გამოცდილება. თქვენ გაქვთ საქმის სიყვარული.** თურმე, მარტო ეს საკმარისი ყოფილა, რომ ერთიასამად გადიდდეს ჩვენი ქვეყნის საშუალო მაჩვენებლები მეცხოველეობაში (ხანგრძლივი ტაში).

მაშასადამე, ბოლო მოვუღოთ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იმ ნორმებს, რომლებიც გამომდინარეობდნენ ერთპიროვნული მეცხოველეობის ჩამორჩენილობიდან, ავწიოთ **ჩამორჩენილნი მოწინავეთა დონემდე**—აი მეცხოველეობის დარგში [illegible] მთავარი პირობა (ტაში).

(დასასრული იქნება)

დაიხურა ამიერ-კავკასიის კომკავშირული ორგანიზაციების VII ყრილობა

ამიერ-კავკასიის კომკავშირული ორგანიზაციების მე-7 ყრილობის დილის სხდომაზე, 21 თებერვალს, მოსმენილ იქნა ამხ. **ე. ბედიას** მოხსენება კომკავშირის კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობაზე სოფლად.

ამხ. ბედია თავის მოხსენებაში დაწვრილებით შეჩერდა ამ მუშაობის მდგომარეობაზე სოფლად. მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებანი კომკავშირის წინაშე დიდი სტალინის მიერ დასმული ძირითადი ამოცანის—ახალგაზრდობისა და ბავშვების კომუნისტური აღზრდის ამოცანის განსახორციელებლად.

ამხ. ბედიას მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **მაკხუდოვამ** (ალდაში), **შ. მთვრალაშვილმა** (ქუთაისი), **მიკოიანმა, ალამოვმა** (მთის ყარაბაღი), **მიხაილოვამ** (გეოქჩაი), **ზურაბაშვილმა, ბაბაევმა** (კალამაშრალის რაიონი), **ესაიანმა ყურბანოვმა** (საკ. ალკკ ა.-კ. სამხარ. კომიტ.), —[illegible] (საქ. ალკკ ც. კ. მდივანი) და **ალაჯანოვმა** (ნარიმანოვის რაიონი).

ამხ. ბედიას საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ აირჩია კომისია მოსმენილი მოხსენების გამო რეზოლუციის შესამუშავებლად.

21 თებერვალს, საღამოს, შესდგა ამიერ-კავკასიის კომკავშირული ორგანიზაციების ყრილობის უკანასკნელი სხდომა.

ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის (ამხ. **დავთიანის**) მოხსენება.

ყრილობის 551 დელეგატიდან 141 ქალია, დელეგატებს შორის 166 ქართველია, 114 თურქი, 148 სომეხი, 11 ოსი, 6, აფხაზი, 3 აჭარელი და სხვ.

ყრილობის დელეგატების შემადგენლობაში 23 ინჟინერია, 139 სტახანოველი, 38 კოლმეურნე და სხვ.

363 კაცი შეადგენს დელეგაციის პარტიულ ბირთვს.

66 დელეგატს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, 36—დაუმთავრებელი უმაღლესი, 257—საშუალო და 93—დაუმთავრებელი საშუალო განათლება.

43 დელეგატი პარაშუტისტია.

ყრილობამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

ყრილობის საღამოს სხდომაზე გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. **კუდრიავცევი,** რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ამხ. კუდრიავცევმა ყრილობას გადასცა სალამი პარტიის სამხარეო კომიტეტისაგან და ამხანაგ **ლავრენტი ბერიასაგან.**

თავის გამოსვლაში მან აღნიშნა ის დიდი წარმატებანი, რომლებსაც მიაღწიეს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა სოციალისტურ მშენებლობაში.

ამ წარმატებებისათვის ბრძოლაში,—ამბობს ამხ. კუდრიავცევი,—ამიერ-კავკასიის კომკავშირული ორგანიზაციები იყვნენ პარტიულ ორგანიზაციათა ერთგული თანაშემწენი.

შემდეგ ამხ. კუდრიავცევი შეჩერდა ახალგაზრდობის მასების ინტერნაციონალური აღზრდის ხაზით მუშაობის გაძლიერების საკითხებზე, ბოლშევიკური თვითკრიტიკის განვითარებაზე კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში და პარტიაში კომკავშირელთა მიღების საკითხებზე.

თავის გამოსვლის დასკვნით ნაწილში ამხ. კუდრიავცევმა საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის სახელით გამოსთქვა რწმენა, რომ კომკავშირის ამიერ-კავკასიის ორგანიზაციები, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით, ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით, კიდევ უკეთ მოაწყობენ თავის მუშაობას იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც მათ წინაშე დასმულია პარტიისა და დიდი ბელადის, ამხანაგ სტალინის მიერ.

ამხ. კუდრიავცევის გამოსვლის დამთავრებისას ყრილობა მართავს ახალ მქუხარე ოვაციას.

შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუციები ყველა მოსმენილ მოხსენებათა გამო.

ირჩევენ საკ. ალკკ სამხარეო კომიტეტის ახალ შემადგენლობას.

საკ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პლენუმი არჩეულ იქნა 60 წევრისა და 22 კანდიდატის შემადგენლობით.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით პლენუმის პირველ წევრად ირჩევენ ამხ. **ლ. ბერიას.** პლენუმის შემადგენლობაში აირჩიეს ამხ. კოსარევი, **ბაგიროვი, ხანჯიანი, კუდრიავცევი, გიორგობიანი, ბლიაუ, ყურბანოვი, შულგინა, დავთიანი, ზარნაძე, ორეხოვი, ჩუბინიძე, მამიკონიანი, ბოოდარევი, როზენგაფტი, კუროჩკა, უხეინოვი, მარქაროვი, ვოლჩოკი, აგამოვი, ემინოვი, პოსტნიკოვი, ბაბაევი, ოსტაშკო,** სტახანოველი და სტახანოველი ქალები—**სკიდანოვი, რიზა ალიევი, ალმას ალიევა, მ. მამედოვი, მაჭავარიანი, მამულაიშვილი, ამხ. შაბბათიანი, ახალაძე, ვართაპეტიანი,** კომკავშირელი ქალი—ექიმი **ფარაჯაევა** და სხვ.

ყრილობამ აირჩია სარევიზიო კომისია 13 კაცის შემადგენლობით.

დასასრულ ყრილობამ დაამტკიცა საკ. ალკკ მე-10 საკავშირო ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა, რომლებიც არჩეულ იქნენ კომკავშირის რესპუბლიკურ ყრილობაზე.

შემოაქვთ წინადადება, რომ მე-10 ყრილობის პირველ დელეგატად არჩეულ იქნას საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი ამხანაგი **სტალინი.** საყვარელი ბელადის სახელს ყრილობა ხვდება მქუხარე ტაშით, რომელიც ხანგრძლივ ოვაციაში გადადის. დარბაზს აზანზარებს „ვაშას" მძლავრი ძახილი. გაისმის მრავალრიცხოვანი მისალმებანი საყვარელი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის ამხანაგი **სტალინის** პატივსაცემად.

შემდეგ კანდიდატად ასახელებენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ხელმძღვანელს ამხ. **ლ. ბერიას.** ყრილობის დელეგატები ახალ ოვაციას ჰმართავენ. გაისმის შეძახილები: „ვაშა ნაცად სტალინელს, ამიერ-კავკასიის ახალგაზრდობის მეგობარს ამხ. ლ. ბერიას!" „კომკავშირული სალამი ამიერ-კავკასიის კომკავშირული ორგანიზაციების პარტორგს ამხ. ლ. ბერიას— ვაშა!".

შემდეგ დელეგატად მქუხარე ტაშით ამტკიცებენ ძველ კომკავშირელს ამხ. **ს. კუდრიავცევს.**

მქუხარე ოვაციითა და ვაშას ძახილით ყრილობა დელეგატად ირჩევს საკ. ლენინური კომკავშირის ხელმძღვანელს ამხ. **კოსარევს.** დელეგატებად არჩეულ იქნენ ამხანაგები **ბაგიროვი, ხანჯიანი, გორშენინი, ავიძბა, ბლიაუ, ახალაძე, ვოლჩოკი, ვართაპეტიანი, გიორგობიანი, გოგიტიძე, გრიგოლაშვილი, დგებუაძე, ქერიმოვი, მარქაროვი, ზ. მაჭერამოვა, მგელაძე, მამულაშვილი მიქაბერიძე, პოლოსიანი, როზენგაფტი, ჩარკვიანი, ჩუბინიძე, ჩხაიძე, შაბბათიანი, ემინოვი, იუსუფოვა** და სხვა.

ყრილობის დახურვის წინ მოკლე დასკვნითი სიტყვით გამოვიდა ამხ. **გიორგობიანი.**

ყრილობა დამთავრდა პროლეტარული ჰიმნის, „ინტერნაციონალის" სიმღერით.

ყრილობის დახურვის შემდეგ დელეგატებმა მიიღეს მონაწილეობა დიდ ბალ-მასკარადში, რომელიც გაიმართა წითელი არმიის სახლში.

საქართველოს არქიტექტორების ყრილობა

ქალაქებისა და კურორტების დაგეგმარება

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო საქართველოს სახალხო მეურნეობის აღორძინება. მრეწველობის ზრდამ და სოფლის მეურნეობის განვითარებამ გამოიწვიეს მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობის საყოველთაო გაუმჯობესება. საბჭოთა ქალაქები იზრდებიან სწრაფი ტემპით და ამ ზრდაში საბჭოთა კავშირის ცენტრალური რაიონების ქალაქებს ბევრგან წინ უსწრებენ საქართველოს ქალაქები, რომლებიც ახლა ძლივს ეტევიან თავიანთ ძველ ფარგლებში და იქმნება მათი გაფართოების აუცილებლობა.

როგორ უნდა გავაფართოოთ ჩვენი ქალაქები, როგორი უნდა იქნეს მათი მომავალი სახე? ამ კითხვებზე პასუხი გასცა ყრილობაზე ქალაქების დაგეგმარების შესახებ მოხსენებით გამოსულმა ინჟინერ-არქიტექტორმა **ზ. ქურდიანმა.** ჩვენი ქალაქები და კერძოდ ტფილისი ისე უნდა გაფართოვდეს, რომ შეიქმნას ყველა პირობა მშრომელთა ლაღი, კეთილმოწყობილი და საამური ცხოვრებისათვის.

კურორტების დაგეგმარებაშიაც ანალოგიური მიზნები უნდა იქნეს დასახული. ჩვენს კურორტებზე უნდა შეიქმნეს ყველაფერი იმისათვის, რომ ისინი გახდნენ მშრომელთა ჯანმრთელობის კერად. ამ საკითხზე ვრცელი და საინტერესო მოხსენებით გამოვიდა ინჟ. **ბუზოლლი.**

მოხსენებათა გარშემო აზრი გამოსთქვეს—პროფ. **ყორყეხალმა, [illegible] კრანცმა, ზუმობაძემ, ჩხიკვაძემ** და [illegible].

21 თებერვალს დილით მუშაობდა ყრილობის ერთი სექცია, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა არქიტექტორ **მ. შავიშვილის** ბრიგადა. სექციამ გაარჩია საკითხები საცხოვრებელი, საზოგადო და სამრეწველო არქიტექტურის შესახებ.

საკ. ალკკ-ს ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი პლენუმი

21 თებერვალს შესდგა ახლად არჩეულ საკ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა საკ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ **გ. ი. გიორგობიანი,** მეორე მდივნად—ამხ. **დ. მ. ბლიაუ,** სამდივნოს წევრად—ამხ. **ხ. მ. ყურბანოვი.**

პლენუმმა დაამტკიცა საკ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით. ამხ. **გ. ი. გიორგობიანი, ს. ა. კუდრიავცევი, დ. მ. ბლიაუ, ხ. მ. ყურბანოვი, ხ. მ. უხეინოვი, ა. ი. მგელაძე, ა. გ. შაბბათიანი, გ. გ. დავთიანი, ა. ლ. შულგინა, ა. ვოლჩოკი, მ. ჩუბინიძე, გ. ახალაძე, ა. მამიკონიანი.**

ბიუროს წევრობის კანდიდატებად დამტკიცებულ იქნენ ამხ. **ვ. ხ. ვართაპეტიანი, ა. ზარნაძე, პ. ფ. ორეხოვი.**

პლენუმმა საკ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის სამდივნო დაამტკიცა ამხ. **გიორგობიანის, ბლიაუს და ყურბანოვის** შემადგენლობით.

პლენუმმა საკ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის განყოფილებათა გამგეებად დაამტკიცა:

მუშა-ახალგაზრდობის განყოფილებისა — ამხ. **გ. დავთიანი.**

გლეხური ახალგაზრდობის განყოფილებისა — ამხ. **ხ. ყურბანოვი.**

პიონერთა განყოფილებისა — ამხ. **ა. შულგინა.**

მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებისა — ამხ. **ა. ზარნაძე.**

გაზეთ „მოლოდოი რაბოჩის" პასუხისმგებელ რედაქტორად — ამხ. **პ. ფ. ორეხოვი.**

ამავე დროს შესდგა საკ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის სარევიზიო კომისიის პლენუმი. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. **ნ. მ. მალკოვი.**

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა ბრძოლა და გამარჯვება

აი, სახელოვანი ისტორია!

რა იყო სამხრეთ-ოსეთი წინათ და რა ისტორია ჰქონდა მას? ქართველი ფეოდალების—ერისთავებისა და ამილახვრების, მაჩაბლებისა და ფეხერიშვილების კოლონია და მეტი არაფერი, საუკუნეთა განმავლობაში ქართველი თავადები და რუსი კოლონიზატორები ერთნაირად სწოვდნენ სისხლს სამხრეთ-ოსეთის მშრომელ გლეხობას.

ძნელად მოიპოვება საბჭოთა საქართველოში კუთხე, რომელსაც სამოქალაქო ომების ისეთი მდიდარი გამოცდილება ჰქონდეს, როგორიც საბჭოთა სამხრეთ-ოსეთს. აქ ყოველი მტკაველი მიწა განბანილია ჩაგრული ოსის სისხლით.

სისხლით იწერებოდა სამხრეთ-ოსეთის „დაბადების“ ყოველი სტრიქონი.

აი, ისტორიაც!

○

თებერვლის რევოლუციამ ვერ გადასჭრა ვერცერთი წინააღმდეგობა სამხრეთ-ოსეთში. ეკონომიური სილატაკე, უფლებრივი სიდუხჭირე, შრომის უმაგალითო ექსპლოატაცია ისევ ძალაში დარჩა. ყრუდ ქვითინებდა მშრომელი ოსეთი, მაგრამ მალე ამ გმინვამ მგზნებარი ლავად ამოხეთქა და აჯანყების ალში გაეხვია ეს პატარა, საუკუნეთა განმავლობაში დამონებული კუთხე.

დემობილიზებული ჯარისკაცები შეიარაღებული ბრუნდებოდნენ შინ და გულში ღრმად იმარხავდნენ ბოლშევიკურ შეურიგებლობას, და მჩაგვრელთა სიძულვილს. ჯორნისისა და ერედვის, ჯავისა და წუნარის, კობისა და კეხვის, ზღუდერისა და ფრისის და მრავალი სხვა სოფლის მოსახლეობაში ბოლშევიზმმა დაიმსახურა მშრომელი გლეხობის დიდი ნდობა და სიყვარული. პირველი იერიში გლეხობამ თავადაზნაურობაზე სოფელ ჯორნისში მიიტანა. ჯორნისელებმა განდევნეს მენშევიკების ხელისუფალნი და თავადებს იარაღი აჰყარეს. თავადებმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს. ამას შედეგად მოჰყვა ხერხეულიძეების განადგურება.

1918 წლის თებერვლის სუსხიან დღეებში ჯორნისს მოევლინა მენშევიკური ხელისუფლების პირველი ჯარანი. ეს იყო „სახალხო გვარდიელი“ კოსტა ყაზიშვილი.

ყაზიშვილმა მოისურვა გლეხების განიარაღება. ჯორნისელებმა არათუმცა მტერს იარაღი და აიძულეს გვარდიელები უკან დაეხიათ.

ეს უკვე საკმარისი იყო იმისათვის, რომ მენშევიკების სატრაპებს ცხინვალის რაიონში სამხედრო წესები გამოეცხადებინათ.

ქართული გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ კავასი დიდი კაზნიურით მოუთხრობდა: „გორის მაზრაში დაძაბული მდგომარეობაა, ყოველდღე მოსალოდნელია მოსახლეობის სხვადასხვა წრის გამოსვლა ბოლშევიკების დროშით“.

ტონტობეთის სარძევე - სასაქონლო ფერმის მწველელი საუკეთესო სტახანოველი ამხ. ნ. კოჩიევა. გაგზავნილია მეცხოველეობის საკავშირო თათბირზე მოსკოვში

○

მდგომარეობის შეფასებაში მენშევიკები როდი ტყუოდნენ.—ისინი კარგად გრძნობდნენ, რომ სამხრეთ-ოსეთში კლასობრივი უკმაყოფილება იზრდებოდა. ჯორნისის გამოსვლას მოჰყვა ჯერ ერედვის და შემდეგ ფრისის ქართველი და ოსი გლეხობის შეიარაღებული გამოსვლა. მენშევიკების გვარდიელებმა 13 მარტს დაარბიეს სოფელი ერედვი. შეიარაღებული გლეხობა მთაში გაიხიზნა და რამდენიმე დღის შემდეგ ოს მშრომელებთან ერთად ცხინვალს შეუტია.

18 მარტს, ე. ი. იმ დღეს, როდესაც ტფილისში მენშევიკები ზეიმზე ბრძნე ალექსანდრეს ბაღში უიარაღო ბოლშევიკურ მიტინგზე გამარჯვებას, ცხინვალში აფრიალდა გამარჯვების წითელი დროშა.

აჯანყებულებმა ტყვედ ჩაიგდეს მენშევიკური რაზმი და დახოცეს მათი მეთაურები: კოსტა ყაზიშვილი, გ. მაჩაბელი და სანდრო კეცხოველი.

სტიქიურმა მოძრაობამ დიდხანს ვერ შეინარჩუნა ძალაუფლება, მენშევიკურმა შავრაზმელმა გვარდიამ მთელი ძალღონე იხმარა აჯანყების ჩასაქრობად და აჯანყებულნი იძულებული გახდნენ ჩრდილო-კავკასიის ყინულოვან კალთებს შეხიზნულიყვნენ.

ოქტომბრის რევოლუციის ორი წლისთავზე სამხრეთ-ოსეთმა კიდევ აღმართა აჯანყების დროშა. მენშევიკების გაძლიერებულმა რაზმებმა ეს აჯანყებაც სისხლში ჩაახრჩვეს.

1920 წელი. აპრილში როკის რაიონის გლეხობამ მოაწყო გამოსვლა და უკვე მაისში გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება. რევოლუცია მარტო როკით არ შემოფარგლულა. 7 ივნისს რევოლუციონერებმა დაიკავეს ჯავა, სადაც ტყვედ იგდეს 500 კაცისაგან შემდგარი მენშევიკური რაზმი მთელი თავის შტაბით, 8 ივნისს, აჯანყებულებმა დაიპყრეს ცხინვალი და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება „სამხრეთ - ოსეთის ტერიტორიაზე ონიდან დუშეთამდე“.

გამხეცებული მენშევიკები, რასაკვირველია, ვერ შეურიგდნენ საბჭოთა ხელისუფლების ახლო მეზობლობას. მათ მთელი შეიარაღებული ძალები ცნობილი ჯალათის ვალიკო ჯუღელის მეთაურობით შეუსიეს სამხრეთ-ოსეთის მშრომელ ხალხს.

ძვირად დაუჯდა ჯუღელის ექსპედიცია სამხრეთ-ოსეთს. პარტიის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის დეპეშაში ლენინის სახელზე ვკითხულობთ.

„მენშევიკების გამხეცებულმა ბანდებმა ჯუღელის მეთაურობით ფერფლად აქციეს ჯავა, წუნარი, ტბეთი, ხეითი და სხვ. გადამწვარია 25 დიდი სოფელი. მცხოვრებლებს დიდიან-პატარიანად ჟლეტენ... მშრომელი სამხრეთ-ოსეთი სისხლისაგან იცლება ამ უთანასწორო და მძიმე ბრძოლაში“.

ამ სიმხეცის საუკეთესო ილუსტრაციას თვით ჯუღელი იძლევა.

„ახლა ღამეა, და ყველგან მოჩანს ცეცხლი. იწვის აჯანყებულთა სახლები... მაგრამ მე უკვე მივეჩვიე ამას და ყველაფერს ვუყურებ თითქმის დამშვიდებული“.

14 ივნისს იგივე ჯუღელი გარყვნილი გიმნაზიელის სტილით შენიშნავს იმავე დღიურში: „გიზგიზებს ცეცხლი, იწვის სახლები. ცეცხლითა და მახვილით... გიზგიზებს და იწვის. ოსები გარბიან და გარბიან. გარბიან მთებში სუსხიან მთებში იქ მათ შეაცივდებათ. ძალიან შესცივდებათ“.

21 ივნისს მენშევიკურმა ურდოებმა დაიკავეს როკის და ძეგლის უღელტეხილები და განდევნეს ოსები საკუთარი მიწაწყლიდან.

ჯუღელის ექსპედიციის შედეგად მოჰყვა 387 მამაკაცის, 172 ქალის და 110 ბავშვის დახოცვა. გაქცევისას ამოხოცეს 1734 ბავშვი. 4212 მამაკაცი. გააუპატიურეს 62 ქალი 1268 სახლი და 28 სკოლა გადასწვა ჯუღელმა სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში.

მენშევიკების სიმხეცემ თავის უმაღლეს წერტილს 13 კომუნარის დახვრეტაში მიაღწია. 20 ივნისს კომუნარები ცხინვალის ციხიდან ქალაქის სასაფლაოზე გაიყვანეს. უშიშრად მიდიოდნენ კომუნარები სასიკვდილოდ და ამხნევებდნენ ერთმანეთს.

კომუნარმა ანდრო ჯიოევმა—სოფლის მასწავლებელმა—მიმართა მენშევიკებს, შემდეგი სიტყვებით:

„ჩვენ ვიხოცებით. მაგრამ სულ ერთია. დღეს თუ არა ხვალ მაინც მოვლენ აქ ჩვენი ამხანაგები და საბჭოთა დროშა აფრიალდება ამ თვალუწვდენელ მწვერვალებზე“.

კომუნარის წინასწარმეტყველება მალე ასრულდა.

სრული 214 დღის შემდეგ გამარჯვებული ქართველი და ოსი მშრომელი მასები შავიზღვისაკენ მიერეკებოდნენ ქართველ მენშევიკებს.

ბ. ა—ძე.

სოციალისტური მეცხოველეობის სტახანოველები დგანან (მარცხნიდან მარჯვნით): ბ. ნარდიკოევი, ტ ნონიევი. სხედან არ. ბიაზროვი. მართა კლიევი, კატო კოჩიევი, ა. ჯიოევი.

ფაქტთა ღაღადი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდანვე დაუბრუნდნენ სამხრეთ-ოსეთს გმირი მებრძოლნი და ჩრდილო-კავკასიაში გადახვეწილი ლტოლვილები მენშევიკ-თეთრგვარდიელების მიერ გაჩანაგებულ მშობლიურ მხარეს.

ნაცარ-ფერფლიდან აღდგა ახალი, სოციალისტური საბჭოთა ოსეთის ავტონომიური ოლქი. ძველი გადამწვარი მიწური სახლების ადგილას აშენდა ახალი ქვიტკირის სახლები.

საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის გლეხობა წავიდა წინ ნათელი, ბედნიერი, მდიდრული ცხოვრებისაკენ, როცა ის გადაჭრით დაადგა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის გზას — კოლექტივიზაციის გზას.

დღეს კოლექტივებში გაერთიანებულია გლეხობის 78.2%; ზოგ რაიონში კი უკვე მთლიანი კოლექტივიზაცია გატარდა (მაგალითად: ზნაურში, ჯავში და სხ.).

საბჭოთა ოსეთს უკვე მრავალი მყავს სოციალისტურ აღმშენებლობაში გამოჩენილი მოწინავე ადამიანი. ყველა იცნობს სამხრეთ-ოსეთში და საქართველოში ჯავის რაიონის სოფელ ქოტანოთის საუკეთესო მწველავ სტახანოველ სიდონია ბიაზროვას. აგრეთვე სახელოვანი სტახანოველია სოციალისტური მეცხოველეობისა ტონტობეთის სარძევ-სასაქონლო ფერმის მწველავი ნადეჟდა კოჩიევა, რომელიც ამჟამად მოსკოვში მეცხვარეობის საკავშირო თათბირზე იმყოფება. მათ მხარს უმშვენებენ სოციალისტური მეცხოველეობის სტახანოველები: არსენ ბიაზროვი, პოლიტე ჯიოევი, მარიამ გულდოევა, ისმაილ თედეევი, ბეტო ნარტიკოევი, ხადიჯა [illegible], მართა ფილიევა. სოციალისტური მემინდვრეობის სტახანოველები: ლენტო ქრისტესიაშვილი, ხ. ბადოევა, მიხა ბერუაშვილი და სხვები.

მენშევიკურმა ვანდალებმა 1920 წლის ივნისის აჯანყების ჩაქრობის დროს მთლიანად გაანადგურეს სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა მუშა-მეწველი და წვრილფეხა საქონელი. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მესაქონლეობის აღსადგენად უდიდესი მუშაობა ჩატარდა. სამხრეთ-ოსეთის გასაბჭოების 15 წლისთავისათვის უკვე აღდგენილია მესაქონლეობა და შეიქმნა მტკიცე ბაზა სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მეცხოველეობას სამხრეთ-ოსეთის სოფლის მეურნეობაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი ხვედრითი წონა 86%-ს უდრის.

1936 წლის დასაწყისისათვის მეცხოველეობამ შემდეგი მიღწევები მოგვცა. ცხენების ჯოგი აყვანილ იქნა 5406 სულამდე (1921 წელს კი 1860 იყო), მსხვილფეხა საქონლის ჯოგი გაიზარდა 61843 სულამდე, თხებისა და ცხვრების რაოდენობამ 88.251 მიაღწია. კიდევ უფრო სწრაფად იზრდება მეღორეობა. დიდი ყურადღება ექცევა ჯიშების გაუმჯობესებას, რისთვისაც შექმნილია ჯიშიანი მწარმოებლების პუნქტები. შარშან სამხრეთ-ოსეთს სოციალისტური შეჯიბრება ჰქონდა ჩრდილო-ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან სოც. მეცხოველეობის განვითარების საქმეში. შეჯიბრებაში გამარჯვებული ის გამოვიდა. ახლა შეჯიბრება კვლავ გრძელდება და ახალი გამარჯვებებისათვის თავგამოდებით იბრძვიან სამხრეთ-ოსეთის სოციალისტური მეცხოველეობის ოსტატები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მესაქონლეობის საკოლმეურნეო ფერმების გაფართოებას. წელს საკოლმეურნეო ჯოგში 192 ცხენი, 30100 მსხვილფეხა საქონელი და 30600 თხა და ცხვარი იქნება.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩაეყარა საფუძველი სამხრეთ-ოსეთის მრეწველობას. დღეს საბჭოთა ოსეთში უკვე მუშაობს ხე-ტყის 4 ხერხი ქარხანა, ერთი გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკა, მექანიკური სახელოსნო, მარმარილოს დამმუშავებელი საწარმო, აგურის და კირის ქარხნები, მინერალური წყლების ქარხანა, ჰიდროელსადგური, სატრიკოტაჟო ფაბრიკა და სხვ.

დიდი ენერგიულობით ტარდება ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლა, რომელსაც ხელმძღვანელობს სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი. აღმოჩენილია იქნა ქვანახშირის და მარმარილოს საბადოები, ტყვიის, თუთიის, ხელინძის და სხვ. მადნეულის, ნავთის გამოსავლები და მრავალი სხვა, რომელთა შემდგომი შესწავლა დიდი გულმოდგინებით სწარმოებს.

უდიდესი მიღწევებია აგრეთვე კულტურული მშენებლობის ფრონტზე. გადამწვარი სკოლების ადგილას აიგო მრავალი ახალი სკოლა. ამჟამად მოქმედებს 285 დაწყებითი სკოლა 19184 მოწაფით, 28 არასრული საშუალო სკოლა, რომელშიც 3652 მოწაფე სწავლობს, და 9 საშუალო სკოლა 464 მოსწავლით. ამჟამად საყოველთაო სწავლებაში ჩაბმულია მოზარდი თაობის 98%. საგრძნობლად გაიზარდნენ პედაგოგიური კადრები. რევოლუციამდე სულ 28 მასწავლებელი იყო. 1934 წ. კი მათი რაოდენობა 756-ს უდრიდა. მაგრამ ესეც ვერ აკმაყოფილებს სწრაფად მზარდი სასკოლო მშენებლობის მოთხოვნილებას. ახალი პედაგოგიური კადრების მომზადების უზრუნველსაყოფად გახსნილია პედმუშფაკი, პედტექნიკუმი და პედინსტიტუტი.

ფართოდ არის გაშლილი სასკოლო მშენებლობა. მიმდინარე წელს დამთავრდება 8 საშუალო სკოლის შენობა, 10 არასრული საშუალო სკოლის და 8 პირველდაწყებითი სკოლის შენობები.

უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ნაციონალური სახელმწიფო თეატრის შექმნა. მას უკვე აქვს თავისი რეპერტუარი — ორიგინალური და თარგმნილი ნაწარმოებები — და იგი წარმატებით მუშაობს. კადრების მომზადების მიზნით ტფილისში მივლინებულია ახალგაზრდა მსახიობების მნიშვნელოვანი ჯგუფი.

მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა სამხრეთ-ოსეთის მშრომელებს, საბჭოთა კავშირში მცხოვრებ სხვა მრავალ მცირე ერებთან ერთად, სამეურნეო და კულტურული აყვავების შესაძლებლობა. მათი ხელმძღვანელობით სწრაფად იზრდება და ვითარდება სამხრეთ-ოსეთის თავისუფალი ხალხის კულტურა — ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური.

ლ. ჯავახაძე.

ხარიტონ კლიევი

ჩემო ქვეყანავ!

ჩემო ქვეყანავ!
უხსოვარ დროდან
შენ დაცემული იყავი მარად.
უხსოვარ დროდან
შენს მიშველ მკერდზე
ცრემლი სდიოდა
მავ ნიაღვარად...
და შენი სისხლით ნაგები კოშკი
ზეცას სწვდებოდა ამართულ
ფარად

○

ჩემო ქვეყანავ!
მეფის ჯარიხი
რად შემოიჭრენ
შენს გასაწირად?
რისთვის ლპებოდნენ
შენი კოშკები
მაღალ სივრცეში,
გულ-გასაგმირად?

○

მითხარ სიმართლე!
— რისთვის სძარცვავდნენ
შენს ბეჩავ გლეხებს
აზნაურები?
და თავადები
სისხლს რისთვის გწოვდენ
მათრახითა და
განადგურებით?
მითხარ ჩვენს დრომდის
ჩვიდმეტ წელში

რისთვის შეუნდეს
დიდ-ლეთის ხანძარი?
რაღა დაარბიეს
შენი სიკეთე
და რად დაგატყდა
დიდი თავზარი??
შენ იცი დღემდე

○

მე სალამური
არ, ამიღია
ჰანგთა ტკბილად...
შენი წუხილი
და შენი მოთქმა
თვალს შიშნელებდა
შენდა სამზეროდ.
— მაღლა საბჭოთა
ხელისუფლებას!
მოგხსნა უღელი
და... ამაღლდა.

○

დღეს ბედნიერი
მშრომელი ერი
შედუღებული
ძალით და ნებით,
უსაზღვრო შრომით,
ხალისით, რწმენით, —
სჭედავს მომავალს
თავგამეტებით!

სთარგმნა ბიძინა აბულაძემ

ყაზბეგ ყუროევი

სიხარულის დღე

როცა ხეობს დაბურულ ხევში
მისდევს ჭრიალით ურემი ურემს,
აცირაბს მიადგნენ ხარები ხვნეშით
და სიხარულით ისმება ყურებს.

○

თითქო მზის მოსწყდა თვალებზე თალხი
თალხი, ვინ იცის, დამძიმული სიდან?
და ათასობით მშრომელი ხალხი
თითქო მიწაზე ცვივოდა ციდან.

○

მორჩა! გაქარდა ძველი ნაღველი
გვირაბის გულში გაჭრილ კარებთან.

და ნაზ მანგების შემოძახილით
როცა ხეობა დაგუგუნებდა:

○

თითქო მთებიდან მდებზე გარბოდა
სიტყვა, უძრავ ხალხით სავსე —
აქ ჩვენ სიხარულს ვხვდებით ხარბად
და მხიარულ დღის ვხვდებით ასე.

○

წითელი დროშა ელვარე ცეცხლით
როგორც ყოველთვის, დაჰქროდა მაღლა
ჩვენს ასეთ ლოზუნგს დროშაზე ვწერდით,
„აბა! კბილებით გვირაბი გავლინოთ“.

სთარგმნა ბიძინა აბულაძემ.

□ □

მწყემსების წერილი

სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარეს – ამხ.

ი. ჯიჯოევს

ძვირფასო ამხანაგო ივანე! ყიზლარის ჯილბილდან ჩვენი ბინის მეცხვარეები გულითად ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით და გამარჯვებას გისურვებთ. მიიღეთ ჩვენი წერილი, რომელიც ჩვენს გულში ლოდად აღიბეჭდა.

ჩვენს ფარაში 1.000 დედაცხვარია. გაიგეთ ვიძლევით, რომ ნამატს მთლიანად შევინარჩუნებთ — 1000 ბატკანი გადარჩეება გაზაფხულზე, ვაცხოვრებთ ისე, თანახმად დადგენილისა ვართ: ბინები შეკეთებულია, ჯვარი მოტანილია, იზოლატორი მომზადებულია და სხვ.

წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნისთვის გაზაფხულამდე 100 პროცენტით, წერაკითხვის უცოდინარი არცერთი მეცხვარე აღარ გვეყოლება. ამაში ეჯიბრება ამხ. მიტრო ბილაშვილის ფარას.

ჩვენი ბინის მეცხვარეები ერთმანეთს ეჯიბრებიან აგრეთვე შემდეგ ვალდებულებათა შესრულებაში: უკეთესად მოვუაროთ ცხვარს, დავიცვათ დისციპლინა, აღმოვფხვრათ წერაკითხვის უცოდინარობა.

მთლიანად მოგახსენებთ სასწავლო წიგნებისა და რვეულებისათვის წერაკითხვის უცოდინარები რომ გვიგზავნოთ ჩვენ ამხანაგებმა. გამოყოფილია კულტურმუშაკი, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. გიორგი ალბოროვი, ყველა მეცხვარე ცდილობს დაიცვას ჯგუფი და სხვას არ ჩამორჩეს.

ამხ. ვანო! ჩვენი ამხანაგური სალამი გადაეცით ამხ. ლავრენტი ბერიას, ამხ. ბ. ტატიევს და სხვებს. ტელის დაწყებისას ყველაფერს დაწვრილებით მოგწერთ ჩაბარებისას.

ყიზლარი, მე-7 ფარის ამხ. გ. პავლიაშვილის ბინის მეცხვარეები:

ვ. პავლიაშვილი, ა. თინიკაშვილი, შ. ბიზოევი, ვ. ძებისოვი, ტ. კარელიძე და სხვები

○

ლარიბკომის სატრიკოტაჟო ფაბრიკის სტახანოველი ამხ. მიროვ მამისთვალოვა.

□

შრომის გზაზე

საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის მშრომელი ებრაელები აქტიურად არიან ჩაბმული სოციალისტური მშენებლობის ფართო ფრონტზე. მოწყობილია ებრაელთა კოლმეურნეობა, რომელიც 43 ოჯახს აერთიანებს. კოლმეურნე ებრაელები ერთგულნი, კოლმეურნეობის შრომით ხალისიანად იბრძვიან შეძლებული ცხოვრების მოსაპოვებლად. ამ კოლმეურნეობას ჰყავს თავისი წარჩინებულები: ამხ. ა. ელიგაშვილი, მიხ. [illegible] და სხვ.

1930 წლიდან სტალინირში არსებობს ებრაელთა კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობს მშრომელი — ებრაელების ჩაბმას სოციალისტურ შრომაში ლარიბკომის ბაზით შემდეგი საწარმოებია შექმნილი: სატრიკოტაჟო ფაბრიკა, ფეხსაცმელების შემკეთებელი სახელოსნო, ხე-ტყის დამმუშავებელი საწარმო, საკერავი და სხვ.

ამ საწარმოებში გამოიზარდნენ ახალი მოწინავე ადამიანები. მაგ. სატრიკოტაჟო ფაბრიკაში მუშაობს კომკავშირელი ქალი, სტახანოველი ამხ. მირო მამისთვალოვა. იგი მშვენივრად დაეუფლა არა მარტო თავის მანქანას, არამედ მთელი საქმოსაც. ამხ. მამისთვალოვამ იანვარში გეგმა 190 პროც.-ით შეასრულა. თებერვალში კი დღიურ გეგმას საშუალოდ 220 პროც. — ასრულებს. ის ბრიგადის სტახანოველთა სტალინელ მუშების შორის.

დიდი ყურადღება ექცევა მშრომელ ებრაელთა კულტურულ მომსახურებას და სწავლა-განათლების საქმეს. მოწყობილია საკლუბო, წითელი კუთხე, საბავშვო ბაღი და კლუბი, რომელთანაც არსებობს დრამატული წრე, ცეკვის წრე, მომღერალთა გუნდი, სასულე ორკესტრი და სხვა. ეხლა ამ წრეებში აქტიურ მონაწილეობას იღებს 170 ახალგაზრდა ებრაელი.

ებრაელ ბავშვებისთვის სტალინირში გახსნილია სრული საშუალო სკოლა. ეს სკოლა საუკეთესოა მთელს სამხრეთ-ოსეთში.

ამგვარად, შექმნილია ყოველგვარი პირობები მშრომელ ებრაელთა სწრაფი წინსვლისათვის სოციალიზმის გზით. მშრომელი ებრაელები კიდეც მიდიან ამ გზით.

მ. ბინიაშვილი.

სტალინირი და ერედვი

გ. მარიამიძე

ავტომ უკანასკნელად შემოსწერა ვიწრო რკალი და რამდენიმე წუთში ქალაქის შუაგულში ამოვყავით თავი.

რომ ადგილმდებარეობა არ ამხელდეს, ამ ქალაქს ვერც კი ვიცნობდით. სულ რამდენიმე წლის წინათ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დედა-ქალაქი უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი სოფლის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ქალაქის ცენტრი მაშინ ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, სადღაც, ბაზარსა და უზარმაზარ ეკლესიას შორის მდებარეობდა. ბაზარს ეკვროდა ებრაელთა უბანი ვიწრო ქუჩებით, და ჩვეული სიბინძურით. პატარა სახლები ერთმანეთზე უწესრიგოდ იყო შელაგებული. ქუჩებს შორის აქა-იქ მოსჩანდა თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობა ორსართულიანი სახლებისა.

ახლა ქალაქის ცენტრმა ჩრდილო დასავლეთისაკენ იბრუნა პირი. ლიახვის დაბლობიდან იგი მწვერვალზე გადაიხიზნა.

იმ ადგილას, სადაც ბაზარი იყო, ახლა სანაპირო ქუჩა შენდება. ორსართულიან სახლებს მესამე სართული თავზე ქუდივით წამოუდგამთ, ხოლო ახალი გიგანტის მშენებლობის ფონზე თავგადავლებული ეკლესია საწყლად გამოიყურება. მოკლედ — ცხინვალი სტალინირად გადაიქცა.

არ გამოცვლილა მხოლოდ ეს მშფოთარე და დაუდგრომელი ლიახვი, თუმცა ტირიფონის არხის საკავეს ძისი ტალღები სხვა მხრივ მიუმართავს. რკინის უღელი დაუდგამს კისერზე მდინარეს და ხოდაშნის ველების ყამირს ჰბანს. ახლა უფრო ხმიანად მიჰქრის ლიახვი და

რწყავს და უმღერის ველებს,
თან ათამაშებს ტალღებს,
ვით მოცეკვავე ხელებს.

მართლაც, აბა როგორ დაინანებდა ლიახვი თავის ბარაქიან ძუძუს — კოლმეურნეებისათვის. ათიობიდან-ათიობამდე, რაღაც არაჩვეულებრივ ხმაზე მღერის იგი სოციალისტური ძმებებლობის ჰიმნს.

აი როკის უღელტეხილი, რომელიც ამ 15 წლის წინათ გადალახეს მშრომელმა ოსებმა, რომ თავი შეეხიზნათ საბჭოთა ჩრდილოეთის კალთებში.

ბევრის მომსწრეა როკი! ასი წლის წინათ ამ უღელტეხილით შემოდიოდნენ აქ რუსი კოლონიზატორები და იარაღის ჟღარუნით შიშის ზარს სცემდნენ მთის მოსახლეობას.

კოლონიზატორების მძიმე ქუსლის ქვეშ მთელი საუკუნის განმავლობაში გმინავდა შრომისმოყვარე ოსი. მას თითქმის მუქთად აკლიდნენ პირიდან ლუკმას, ჩალისას ართმევდნენ პიროუტყვს. ასე პიროუტყვზე უფრო ბაკლებად უყურებდნენ იგი, ცოცხალი ადამიანი ფასობდა.

ლ. სანაკოევი, სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა აჯანყების ერთერთი ხელმძღვანელი, გვეუბნება:

— აი ამ უღელტეხილით დაბრუნდენ გაქცეული მშრომელები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. მათ გულში [illegible] კნები და თიკნები—საბჭოთა ჩრდილოეთის მშრომელთა საჩუქარი, რომ კვლავ აღედგინათ დაცემული და გაპარტახებული მესაქონლეობა.

ორმოცი ათასი გადახიზნული დაბრუნდა თავის მიწაწყალზე და შეუდგა დანგრეული სახლკარის აღდგენას. უსაზღვრო ენერგიულობის დაღი აზის თანამედროვე სამხრეთ-ოსეთის ყოველ კომუნალურ წამოწყებას. ეს ენერგიაა რომ სრულებით შეუცვლია სამხრეთ-ოსეთის დედა-ქალაქის სახე. სამხრეთ ოსეთის სახალხო პოეტის კოსტა ხეთაგუროვის ქუჩა და მრავალი სხვა მკვეთრად დაგეგმილი ქუჩები სულ ახალი საქმეა: ამ ქუჩებზე იშვიათი გემოვნებით ჩამწკრივებულან ახალი ფართო და იშვიათი არქიტექტურული გემოვნებით შესრულებული ნაგებობანი: სახელმწიფო ბანკი და აფთიაქი, კულტურის სახლი, პედაგოგიური ტექნიკუმი ეჯიბრებიან ერთმანეთს პირველობაში, მაგრამ ყველაზე უფრო გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს საბჭოების უზარმაზარი სახლი, რომელიც არწივივით გადასცქერის მთელ ქალაქს და რომლის მშენებლობა ახლო ხანში უნდა დასრულდეს.

ჩვენ ალტაცებაში მოვყავართ ადგილობრივ სტატისტიკოსებს. კომუნალურმა კეთილმოწყობამ და მშრომელთა ჯანმრთელობაზე შეუსუსტებელმა ზრუნვამ ბუნებრივად შეუწყო ხელი მშრომელი მოსახლეობის ზრდას. სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობას ამ 15 წლის განმავლობაში 24 ათასზე მეტი სული შეემატა.

მივდივართ ცაკში, მეტად თბილად, მეგობრულად ვსაუბრობთ მის თავმჯდომარე ამხ. ვ. ჯიჯოევთან.

— ძალიან შეგიცვლიათ ქალაქის სახე.

— გვინახულეთ ერთი წლის შემდეგ, ზოგი მაშინაც სთქვით...

ასეთი იყო ჩვენს შორის მოკლე დიალოგი. ვილაც კაბინეტში შევიდა, ცაკის თავმჯდომარემ სწრაფლ სათვალე მოიხსნა, ეტყობოდა დერეფანში ვილაცა შენიშნა და ხმამაღლა დაიძახა.

— გიგა მოდი, მოდი გიგა!

კაბინეტში შემოვიდა ასე 45 წლის ვაჟკაცი—გიგა ტარელაშვილი.

— გაიცანით. ერედვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კოლმეურნეობა შეტანილია ამიერ-კავკასიის წითელ დაფაზე.

— უნდა გინახულოთ ადგილობრივ.

— კეთილი ინებეთ, მობრძანდით... ვახო, — ჩაიბუტბუტა იგი ცაკის თავმჯდომარეს. მე მოვიდი არხის თაობაზე. გავიგე, ტფილისში მიდიხარ და-გევედრები გვიყვებოთ არხი პატარა ლიახვიდან, კოლმეურნეთა ყანების მოსარწყავად, მოსავლიანობის ასაწევად.

ამხ. ვ. ჯიჯოევი ბლოკნოტში იწერს გიგას თხოვნას... ისინი დიდხანს საუბრობდნენ, მაგრამ მე სხვა ფიქრი მიტაცებს, რა მტკიცე მეგობრული, ორგანული კავშირია ამ გლეხსა და მთავრობის თავმჯდომარეს შორის! განა შეიძლება სადმე, რომელიმე ქვეყანაში, გარდა საბჭოეთისა, იხილოს კაცმა ასეთი რამ!

○

იმავე საღამოს უკვე ერედვში მივემგზავრებოდით. თან მივყვებოდა სამოქალაქო ომების არა მარტო ცოცხალი მოწამე, არამედ უშუალო მონაწილე... გიგა. აი კოლმეურნეობაც და კოლმეურნეობის სტახანოველები: ლავრენტი ქრისტესაშვილი, ალექსანდრე ბაციკაძე და სხვ.

დამაშხული ღვარები, სუფთად მოწყობილი ბინები, ნიკელის საწოლები, ხატის ადგილას გაპოჭიმული რადიორეპროდუქტორი იძლევა იმის ნიშანს, რომ ერედვში ჩაკეტილი მშრომელი გლეხის ენერგია სულ რაღაც 3—4 წლის განმავლობაში ამოხეთქილა და მიწურები ორსართულიანი ოდებით შეუცვლია, სოფელი ერთ მთლიან ბაღად უქცევია.

გიგამ გადაშალა ჩვენს წინაშე სოფლის კეთილმოწყობის გეგმა შორს, სადღაც მიჰქუხს პატარა ლიახვი, მიჰქუხს და მიაგორებს ქვას, კლდეს ლორის. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მტკიცედ განუზრახავს რკინა-ბეტონის ლაგამი ამოსდოს პატარა ლიახვს და აწოვოს სამხრეთ-ოსეთის ველებს მისი ბარაქიანი ძუძუ. იქვე შენდება ელსადგური. ელექტროფიცირებული წისქვილი და ძალუ, სულ მალე სტალინის დიადი იდეები ილიჩის ლამპით შეანათებენ კოლმეურნეთა სახლებში. ახლა ერედვში იშვიათია ისეთი კოლმეურნე, რომელიც ძველებურ ქოხში ცხოვრობდეს.

სახურავქვეშ მოქცეულია უზარმაზარი საქონლის ფარეხი—ქვიტკირის ნაგებობა.

გიგამ იცის, რომ სოფელს სალომეზე მაშინ დაეტყობა, თუ იგი ისე დაიგეგმება, როგორც სტალინირი. ერედველი კოლმეურნეები ორივე ფეხით დამდგარან შეძლებული ცხოვრების და კულტურული ცხოვრების ფართო გზაზე. 40 წლის ალ. ბაციკაძე ამ ზამთარში, ილიჩის წიგნებამოჩრილი დადის ლიკპუნქტში.

გიგას თვალებში სიხარულის ნაპერწკლები ციმციმებს, როცა ალექსანდრეს დახასიათებას იძლევა: მისმა ბრიგადამ მოსავლიანობის აწევაში პირველი ადგილი დაიჭირა. 11 ცენტნერი ჰექტარზე— აი მისი მაჩვენებელი.

სუფთა და ნათელ დარბაზში მხიარულად გვხვდება საუკეთესო სტახანოველი ლენტო ქრისტესიაშვილი. მან მიაღწია იმას, რომ 700 მეტრის ნაცვლად ყოველდღიურად 1.500 ხსნიდა. ათასის ნაცვლად 1.500 ძნას ჰკონავდა. მოსავლის აღებისას რეკორდ აღებაში და შენახვაში პირველობა მოიპოვა.

ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ გიგას ოცნებამ ფრთა შეისხა, მან უკვე მისცეს მაგალითი და ეს უკვე სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის პირველი მერცხალია სამხრეთ-ოსეთში.

— მშვიდობით გიგა, მშვიდობით —ვეთხოვებით ტარელაშვილს იმ იმედით, რომ სულ მალე ვიხილავთ მისი ხელმძღვანელობით და ერედველ კოლმეურნეთა შეერთებული ძალღონით საფუძვლიანად სახეცვლილ ახალ სოციალისტურ ერედვს.

○

ვოლტერის „ბაბილონის პრინცესის“ ფრინველი, შეუბრალებელ მონადირის მიერ განგმირული, მიწაზე დაცემისას ფერფლად იქცა. რამდენიმე წუთის შემდეგ ამ ფერფლიდან ფენიქსი გამოვიდა.

ასე აღსდგა ახალი სამხრეთ-ოსეთი ნაცარიდან და ფერფლიდან.

ქალ. სტალინირი კოსტა ხეთაგუროვის ქუჩა

ქუთაისი განახლებული, სოციალისტური

ნეტავ ახალგაზრდა ვიყო

ეჰ! რამდენ უბედურებას გადაუვლია ჩემს თავზე. მოგონებაც კი მეზარება. გაჭირვებას რომ ვეღარ გავუძელი, სოფელი მივატოვე და ქუთაისს მივაშურე. მირჩიეს თამბაქოს ფაბრიკაში მუშად შესვლა.

ეს ის დრო იყო, როდესაც მენშევიკური მთავრობა საქართველოს დამოუკიდებლობას ზეიმობდა.

თამბაქოს ფაბრიკა ვინმე მეძმარიაშვილს ეკუთვნოდა. ქარხნის პატრონი ტყავს გვაძრობდა, დღე და ღამ გვამუშავებდა და პურის ფულსაც არ გვაძლევდა.

მახსოვს, 1918 წელს, ფაბრიკაში გამეფებულ უსამართლო რეჟიმის გამო, გავიფიცეთ, შევწყვიტეთ მუშაობა, ჩამოვწერეთ მოთხოვნილება და მივედით ფაბრიკის პატრონ მეძმარიაშვილთან, იგი „კარგა გაგვიმასპინძლდა" — დაუძახა მენშევიკების აგენტებს, ცემა-ტყეპით გამოგვრეკეს და მეთაურები დაიჭირეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო მშრომელების გაჭირვებას. მშობლიური მზრუნველობა გაგვიწიეს. მე წერა-კითხვა არ ვიცოდი, დამეხმარენ და მასწავლეს. ჯერ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა დავამთავრე, შემდეგ კი მცირემცოდნეობის სკოლა, ახლა გაზეთებსაც ვკითხულობ და წიგნებსაც. თვალი ამეხილა. ადამიანური ცხოვრება დავიწყე. 1924 წელს კომპარტიის რიგებშიაც მიმიღეს.

გაიხსნა თუ არა ქუთაისის ძაფსაღები ფაბრიკა, მაშინვე იქ დავიწყე მუშაობა.

როდესაც ჩვენს ფაბრიკაში დაამუშავეს სტახანოვური მოძრაობის გაშლის საკითხი, მე პირველი გამოვეხმაურე. ფაბრიკის პარტორგანიზაცია ძალიან მომეხმარა, გამაცნო [illegible] სტახანოვის მეთოდი და წამახალისა. დავიწყე მუშაობა სტახანოვური მეთოდით და ბრწყინვალე მიღწევებიც მოვიპოვე, ახლა გეგმას 200 პროცენტით ვასრულებ. გაიზარდა ჩემი ხელფასი. ყოველდღიურად 9 მანეთს ვღებულობ, 4 მანეთის ნაცვლად.

45 წლის ქალი ვარ, ხნით მოხუცებაში მიდგას ფეხი, მაგრამ არ ვგრძნობ მოხუცობას. ასე ტკბილად ჯერ არ მიცხოვრია. ეჰ, ნეტავ ჭაბუკი ვიყო, რომ უფრო დიდხანს ვატკბე ჩვენი ბედნიერი ცხოვრებით!

ᲗᲔᲙᲚᲔ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲫᲐᲤ-ᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ.

რა იყო წინათ

ქუთაისი თავადაზნაურებისა, მეშჩან-ობივატელების სანავარდო-სამაისო, ვაჭარ-მიკიტნებისა და ჩარჩების სათარეშო, ზარმაცებისა და უსაქმურთა თავშესაფარი იყო.

მენშევიკების დროს ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა მდგომარეობა. მათი მოღვაწეობა მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ სამიკიტნოს რუსულად დაწერილი აბრები გადააქართულეს, ფურნეები მიხურეს, ცხოვრება კიდევ უფრო გაალუხჭირეს, შიმშილობა გააბატონეს, შური და მტრობა დასთესეს.

ქალაქის კეთილმოწყობისათვის არავის ეცალა. მენშევიკების ბატონობისას ერთი შენობაც არ შეკეთებულა. ახალ მშენებლობაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

ქუთაისის ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფას უახლოვდებოდა. ქალაქში გაძვალტყავებულ მუშათა რიცხვი 480 ძლივს აღწევდა. მოსახლეობის რაოდენობა კი 42,448 იყო.

სოფლის მეურნეობა განადგურების გზას ადგა, გლეხობას შიმშილით სული ხდებოდა, კულაკობა მისი სისხლით სუქდებოდა.

ქალაქად მხოლოდ 22 სკოლა არსებობდა, სოფლად კი 17 დაწყებითი სასწავლებელი. ყურადღება არ ექცეოდა მშრომელთა შორის უვიცობისა და უკულტურობის, წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობას. მივიწყებული იყო მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე. მხოლოდ ერთი საავადმყოფო იყო 25 საწოლით, ერთი ამბულატორია და ექვსი აფთიაქი.

მძვინვარებდა შიმშილობით გამოწვეული ეპიდემიური ავადმყოფობანი: ტიფი, პელაგრა, მალარია, ჭლექი.

კურორტი წყალტუბო გულშემზარავ სურათს წარმოადგენდა, ყურადღება არ ექცეოდა მას. რა უფლება ჰქონდათ მენშევიკებს წყალტუბოსათვის ხელი შეეხოთ, ის ხომ აზნაური იოსელიანების მამაპაპეული, „ხელუხლებელი" კერძო საკუთრება იყო!

დღითიდღე ქვეითდებოდა ქუთაისი, არსებული ინგრეოდა, მომავალზე არავინ ზრუნავდა.

აი, რა იყო ძველად ქუთაისი.

სოფელმა სახე იცვალა

ეს შენობა კლუბისათვის გვინდა. ჩვენმა კოლმეურნე წევრებმა დიდი სიხარულით გამოსთქვეს სურვილი კლუბის შენობის აგებისა. სურვილი საქმედ ვაქციეთ, კიდევ რამდენიმე დღე და კლუბის შენობა მზად გვექნება. ეზოში დეკორატიული ბაღის გაშენებას ვაპირებთ, რისთვისაც კულტურული მცენარეები შეძენილი გვაქვს. იმ გვერდით ფიზკულტურის მოედანს ვაწყობთ. ჩვენ კოლმეურნეებს შეძლებულ ცხოვრებასთან ერთად კულტურული დასვენებაც ესაჭიროება. — ასე გაბედულად და მხიარულად იძლეოდა ახსნა-განმარტებას ფარცხანაყანევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ბესარიონ კილაძე.

მართლაც, ფარცხანაყანევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ორიოდე წლის ისტორია აქვს, წევრთა ენერგიული, დაუღალავი შრომით ეს კოლმეურნეობა რიცხობრივ ზრდასთან ერთად თვისობრივადაც გაიზარდა - განმტკიცდა. იგი თავის რიგებში ამჟამად 420 წევრს აერთიანებს, აქვს 1000 ჰექტარზე მეტი სახნავი ფართობი, ჰყავს 255 ცალი გამწევი ძალა და სხვა.

ადგილობრივი პარტორგანიზაციის ოპერატიული ხელმძღვანელობით გასული წლის სამეურნეო კამპანიები, საგაზაფხულო თესვა, პირველი და მეორე გათოხნა, შემდეგ მოსავლის აღების კამპანია ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შესრულდა, რამაც დიდად გაზარდა კოლმეურნეობის შემოსავალი. კოლმეურნეობამ მიიღო 10,000 ფუთი სიმინდი, 1.236 ფუთი სოიო, 789 ცენტნერი ბოსტნეული და 6.300 მანეთი ფულად.

კოლმეურნეები მასობრივად ხდებიან შეძლებულები, აი, მაგალითად. კოლმეურნეობის წევრი **იაკობ ფხაკაძე**, კოლმეურნეობაში შესვლამდე მთელ სოფელში ულარიბეს გლეხად ითვლებოდა, დღედაღამ შრომობდა, მაგრამ მოწეული სარჩო ლატაკ ოჯახს სანახევროდაც არ ჰყოფნიდა. კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ ლატაკი გლეხკაცის იაკობის ოჯახმა გაიხარა. გასულ წელს 170 ფუთი სიმინდი, 124 კილო სოია, 600 მანეთი ფული და სხვადასხვა პროდუქტი მიიღო. ოჯახი ფეხზე წამოდგა. წელში გაიმართა. იაკობმა მოაწყო ორთვალიანი ლამაზი ოდა, იყიდა ძროხა, შვილებს სკოლაში ასწავლის.



ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲐᲛᲮ. Ბ. ᲙᲘᲚᲐᲫᲔ.

ამ კოლმეურნეობაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა სტახანოვურმა მოძრაობამ. დაამუშავეს ბელადის ისტორიული სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა სტახანოველთა პირველ საკავშირო შეკრებაზე—ბრიგადებში თვითეული წევრის ოჯახში, გაეცნენ და შეისწავლეს ყველა კოლმეურნეს მუშაობის სტახანოვური მეთოდის გამოყენება, გამოავლინეს სტახანოველები, დაეხმარნენ მათ. კოლმეურნეობაში ჩამოყალიბდა სტახანოვური ბრიგადა ცნობილ სტახანოველის **ვალოდია კიკვაძის** ხელმძღვანელობით.

კოლმეურნეობაში, გაჩაღებულია ბრძოლა მაღალი მოსავლიანობის მიღებისათვის. დაამუშავეს საკავშირო სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოსავლიანობის გადიდების შესახებ. იკისრეს ვალდებულება: თითო ჰექტარზე 10 ცენტნერის ნაცვლად 15 ცენტნერი სიმინდის მიღება, ხოლო პამიდორის მოყვანა თითო ჰექტარზე 12 ტონის ნაცვლად 18 ტონა, რათა დაპირება პირნათლად შეასრულონ, სწარმოებს სათეს ფართობში სასუქის შეტანა. დღემდე განოყიერებულია 3,000 ჰექტარი ფართობი. კოლმეურნეობა მზადაა საგაზაფხულო თესვისათვის, შეკეთებულია იარაღ-მანქანები, საუკეთესოდაა მოვლილი მუშა-პირუტყვი.

კოლმეურნეები დიდი მიღწევებით ხვდებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავს. ამ დღის კოლმეურნეობაში საფუძველი ჩაეყრება ახალი შენობას და საკოლმეურნეო სამზარეულოს მოწყობას.

ᲐᲙ. ᲭᲐᲜᲙᲕᲔᲢᲐᲫᲔ.



რა არის ეხლა

15 წლის ქუთაისი ახლა საქართველოს მეორე სამრეწველო ცენტრია, ინდუსტრიული ქალაქია, 20,000 საწარმოო პროლეტარიატით.

ქუთაისს ამშვენებს მაუდის ფაბრიკა, ძაფსაღები ქარხანა, გუმბრინის და ბარიტის საწარმოები, საკონსერვო ქარხანა, საქართველოს გიგანტი რიონჰესი, ფეხსაცმლის ფაბრიკა, შუშის ქარხანა, საგრენაჟო სადგურები, ხეტყის და კირის ქარხნები, მარმარილოსა და ქვის წარმოება, ალებასტრის, სალებავებისა და მოზაიკის ქარხნები.

შენდება ლიტოპონის ქარხანა, აბრეშუმის კომბინატი, შუშის მძლავრი ქარხანა, მინერალური სასუქების უდიდესი ქარხანა და სხვა.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქცია, დიდი მუშაობაა გაწეული ქალაქის გამწვანებისათვის, შენდება უმშვენიერესი თეატრი, რომელიც დაიტევს 1600 მაყურებელს.

უდიდესი მიღწევებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში. არსებობს 84 კოლმეურნეობა, გაერთიანებულია მასში რაიონის მოსახლეობის 80,3 პროცენტი.

განსაკუთრებითი ყურადღება ექცევა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას. არსებობს 9 საავადმყოფო, 24 აფთიაქი, 24 ამბულატორია, 3 პოლიკლინიკა, 3 ლაბორატორია, 3 დისპანსერი, ჯანმრთელობის 10 პუნქტი. საკავშირო მნიშვნელობის უდიდესი კურორტი წყალტუბო.

კულტურულ ფრონტზე: ძირითადად მოსპობილია წერა-კითხვის უცოდინარობა, გატარებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლა დაწყებით და არასრულ საშუალო სკოლის ფარგლებში. ამჟამად არის 94 დაწყებითი არასრული და საშუალო სკოლა, 7 ტექნიკუმი და 1 პედაგოგიური ინსტიტუტი.

დღითიდღე იზრდება ქუთაისი, ჭაობები შეცვალა ასფალტმა, სამიკიტნოები ქარხანა-ფაბრიკებმა, უსაქმური ადამიანები და ჩარჩ-ვაჭრები—სოციალიზმის მშენებელმა მუშებმა, ლოთობა და გარყვნილება—პატიოსანმა შრომამ.

აი, ასეთია დღეს ქუთაისი, ქუთაისი ახალი, საბჭოთა, სოციალისტური.

საბჭ. ხელისუფლებამ მომცა

დიდი ხნის როდი ვარ, მაგრამ ვინ მოსთვლის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რამდენი დამცირება და გაჭირვება გამომივლია.

მამაჩემი მეწვრილმანე ებრაელი იყო. მაშინ ებრაელს პატიოსან შრომას ვინ აღირსებდა. მამაჩემს ათი შვილი ჰყავდა. დიდ გაჭირვებაში ვცხოვრობდით. მამა სულ ჩამჩიჩინებდა ვაჭრობა მესწავლა, დუქანში დავყავდი და ვაჭრობაში მწვრთნიდა. ჩემს სწავლას სულაც არ ფიქრობდა. მაგრამ დედაჩემის მეცადინეობით პირველად რეალურ სასწავლებელში შემიყვანეს. სულ ხუთი ებრაელი ვსწავლობდით. არაადამიანურ მდგომარეობაში ვიყავით ჩაყენებული.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს მეხუთე კლასში ვიყავი. ვიფიქრე ახლა მაინც მენშევიკებია მეთქი. მაგრამ უარესი მომივიდა, —მათ სულ გამომრიცხეს სასწავლებლიდან იმისათვის, რომ ებრაელი ვიყავი. მეც მივანებე თავი სწავლას, დავყვებოდი მამაჩემს და ვაჭრობაში ვეხმარებოდი.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ჩემს სურვილს გზა გაეხსნა. დავიწყე სწავლა. დამეხმარნენ, ხელი შემიწყეს და 1924 წელს საშუალო სასწავლებელი დავამთავრე. წინათ უმაღლესში არც კი ვფიქრობდი წასვლას, მაგრამ ამის შემდეგ უმაღლესი ცოდნის მიღების სურვილიც აღმიძრა. სურვილი ადვილად განვახორციელე, შევედი სამედიცინო ინსტიტუტში. მუდამ სტიპენდია მქონდა, ყოველმხრივ დახმარებას მიწევდნენ.

ახლა უკვე ექიმი ვარ. საბჭოთა ხელისუფლებამ გამომიყვანა ადამიანად, მიხსნა დაღუპვისაგან, რომ საბჭოთა ხელისუფლება არა, ქუჩაში მოხეტიალე ვაჭარი ვიქნებოდი, ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი რომ ექიმი გავხდებოდი.

საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი ჩემი ოჯახი დააყენა ადამიანური ცხოვრების გზაზე. მამაჩემმა 1923 წლიდანვე აიღო ხელი ვაჭრობაზე და დაიწყო მუშაობა რიონჰესში. ჩემი უმცროსი და კ.პ.(ბ). წევრია, ექიმის თანაშემწის სპეციალობა აქვს უკვე, ერთი მუსიკალურ ტექნიკუმს ამთავრებს, ერთი ტფილისში მედტექნიკუმში სწავლობს და სხვ. აი რა მისცა ჩემს ოჯახს საბჭოთა ხელისუფლებამ. **ᲔᲥᲘᲛᲘ Ა. ᲤᲘᲩᲮᲐᲫᲔ**

ინდუსტრიული ბალახვანი

ბალახვანის (ახლა წერეთლის) ქუჩაზე ხეტყის ქარხნის წინ არსებულ დარაბაზე თუ დაუკვირდებით, ახლაც შეამჩნევთ ძველ წარწერას:

„მობრძანდით! ღვინო საამური და იაფად!"

დიახ, ეს სარდაფი გახლდათ ძველი დროის სახელგანთქმული სამიკიტნო, სადაც დღედაღამ გალეშილი **დანიელა მეგარმონე** და **ხაშკა მეარღნე** აყრუებდნენ არემარეს. მარტო ეს სარდაფი როდი იყო აქ: ბალახვანს „ამშვენიბდა" —[illegible]ების, შავგულიძეების, ნატკბილაძეებისა და სხვების სამიკიტნოები, სადაც იხარშებოდა დუხჭირ ცხოვრებით გაწამებული ბალახვნის მშრომელთა გული.

და აი, ბახუსის სასმელით, ჭაჭის არყით ტვინგაბრუებული ადამიანები სამიკიტნოდან გამომძვრალნი განთიადის ხანს ჩახლეჩილი ხმით ჩხაოდნენ:

ერემიას დუქანიო,
უბედურათ ვიცანიო.

დიახ, უბედურნი იყვნენ ეს ადამიანები, მათთვის მეშჩანურ-ობივატელურ ქუთაისს სხვა არაფერი მიუცია, გარდა ჭაობიანი ბალახვნისა და ბნელი სამიკიტნოებისა.

მენშევიკებმა ქუთაისი ვერაფრით შეცვალეს. ქუთაისი ისევ მიკიტნებისა და თავადაზნაურობის კერძად დარჩა.

მშრომელთა ცხოვრება კიდევ უფრო გაუარესდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ქუთაისმა იცვალა სახე და ეს ცვლილება პირველად ბალახვანმა იგრძნო.

ჭაობიან, გაუვალ მუდამ ბნელ ქუჩაზე, დაიწყო ქუჩის მოკირწყვლა, გაყვანილ იქნა ელექტრონი, დაინგრა ძველი სამიკიტნოები და სარდაფები. აშენდა კოოპ. სავაჭროების ლამაზი შენობები, გაიხსნა ამბულატორიები, ამოშრობილი იქნა ჭაობები.

1930 წლიდან ბალახვანში გაჩაღდა ინდუსტრიული მშენებლობა, აშენდა **ბარიტის ქარხანა, ორი ძაფსაღები კომბინატი**, დაიწყო მძლავრი **ლიტოპონის კომბინატის** მშენებლობა, რომლის პირველი წყება დამთავრებული იქნება მიმდინარე წელს.

დღეს ბალახვანი ქუთაისის ინდუსტრიული უბანია, მის საწარმოებში მუშაობს 6000-ზე მეტი მუშა.

საწარმოების ზრდასთან ერთად დაიწყო ბალახვანში კულტურული მშენებლობა—აშენდა 3 ახალი ტექნიკუმის შენობა, სადაც 2000-დე ახალგაზრდა სწავლობს, გაიხსნა 2 საბავშვო ბაღა, ძაფსაღები ქარხნის წინ აშენდა მშვენიერი კლუბი და იქვე სასადილო.

ახლა ბალახვნის მარცხენა მხარეს ჩამწკრივებულია ლითოპონის და ძაფსაღები კომბინატის მუშათა საცხოვრებელი 2-3 სართულიანი სახლები, სადაც მოთავსებულია მუშის 500-დე ოჯახი.

ინდუსტრიული განვითარების მხრივ ბალახვანს დიდი მომავალი აქვს, განზრახულია აბრეშუმის კომბინატის გვერდით აშენდეს ახალი კორპუსები, სადაც მოთავსებული იქნება აბრეშუმის ქსოვილის სამღებრო საამქროები.

ოდესღაც ძველი ჭაობიანი ბალახვანი, რომლის მცხოვრებლებს 15 წლის წინად მალარია აჩანაგებდა და მიკიტნები ჰყვლეფდნენ დღეს ქუთაისის ინდუსტრიულ - კულტურულ უბანს წარმოადგენს.

Ვ. ᲚᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ



ქუთაისი ბნელი და მზიანი

ელ. პოლუმორდვინოვი.

რიონის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელ [illegible]შვილის გორაზე, საიდანაც თვალის [illegible] სურათებად ეხატება რუხ და ერთი ზონრად დაკლაკნილი მდინარე, გაშენებული იყო ძველი ქუთაისი. ამ „გორიდან" გარემო მთებს და ტყეებს, რიონის ჭალებს და ლურჯი ცის თაღს გაცქეროდა ციხე უქიმერიონი. ციხეს [illegible] გალავანი, შემოვლებული ჰქონდა [illegible], სადაც სახლობდნენ ქალაქის მცხოვრებნი. რაჭა-ლეჩხუმის გზა გორის ძირში გადაკეტილი იყო, შემოდიოდა გზა ხონიდან, ზევით ზღვიდან და რიონით. ციხე-გალავანში შემწყვდეული სიცოცხლე არც ტუსაღობას ჰგავდა, არც თავისუფლებას. სიმშვიდე და შიშიანობა ერთმანეთზე გადახლართული იყო.

დრომ ჩამოანგრია ფეოდალთა ციხეები და გალავნები, დაანგრია მათი იარაღი. ქალაქი თანდათან „გორიდან" დაბლა ჩამოვიდა, ტაძრები გააკეთა და ქოხები ააშენა. თეთრი ხიდის აღმოსავლეთით, რიონის მარცხენა ნაპირზე [illegible] შენობა, რომლის პირველი სართულიც თლილი ქვით არის ამოყვანილი. ეს [illegible] შენობა ერთ დროს „ოქროს ჩარდახად" წოდებულა, აქ ცხოვრობდნენ მეფენი. ეზოში ხუთასწლოვანი ჭადარი დგას, [illegible]

[illegible]

ასე ატარებდა დროს ქუთაისის თავადაზნაურობა, წოდება რომ ჩაყვითლებული პერანგივით შემოაცვდა და გარედან ხავს მაინც არ ჰკარგავდა, [illegible] და ზარნიშით შემკულ ხმალ-ხანჯალს მაინც ატარებენ, [illegible]

— ძამიავ, ეს ხანჯალი ბაბუაჩემის ნაქონია, თავად ნიჟარაძის, ისე ხჭრის, როგორც ალმასი!..

— ეგი ნაკლები ხომ არ გგონია? მამაჩემის ბაბუას ამით ერეკლე მეფესთან ერთად უომნია!

და ხანჯლისა თუ ხმლის პირებს ქარქაშიდან სწევენ, ზედ ამოჭრილ ჩუქურთმებს ერთმანეთს უჩვენებენ. [illegible]

მარტო ეს როდი იყო მათი საქმიანობა. [illegible]

— ცივე, ცივე..— გაიძახოდა ზურგზე კასრაკიდებული [illegible] კაცი, რომელიც ამ „ცივით" ოჯახს არჩენდა. მოგრძო რეზინის მილიდან [illegible] მსურველს წყალს ასხამდა.

[illegible]

ამ დროს რიყის ქვით [illegible] დაგებულ ქუთაისის მთავარ ქუჩაზე შორიდანვე მოისმის, თუ როგორ მოქრის ქუჩის ცხენებში შებმული ეტლი, ცხენების ნალები ქვებს ისე ხვდება, რომ ნაპერწკლებს ჰყრის. [illegible]

[illegible]

დროს რუსის ჩინოვნიკობა ჯარისა და გვარდიის ნაწილებმა შეცვალეს.

[illegible]

მის ნაგუბარს [illegible], მაგრამ ვინ აქცევდა ამას ყურადღებას. ამ ჩრდილში ყველას ეძინა!

◦

მენშევიკების დროს ქუთაისში ოცდაოთხი ათასი მცხოვრები იყო. დღეს მოსახლეობამ სამოცდაოთხმეტი ათასს მიაღწია.

რამ გაზარდა ასე ქუთაისი?

როდესაც აღმოსავლეთის ცისკარი იღება, [illegible] ამ განთიადის წუთებში ქუთაისის გარეუბნებში საყვირებიც გაჰკივიან.

იწყება [illegible]:

აბრეშუმის საქსოვი კომბინატი [illegible] საქსოვი დაზგით, სადაც ერთი დღის განმავლობაში [illegible] მეტრობით ნაირფერივან ქსოვილებს ამზადებენ. [illegible]

[illegible]

ამ ქარხნებმა და ფაბრიკებმა გაზარდეს ქუთაისი.

ამიერ-კავკასიის არწივმა სტალინის ბუდიდან — ამხ. ლავრენტი ბერიამ სთქვა: „ქუთაისი, როგორც საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი, უნდა გადავაქციოთ დიდის ქალაქად".

მართლაც, ქუთაისი, რომელშიაც დღეს ოცდაათი ათასზე მეტი მუშაა, მწვანდება, ლამაზდება, შენდება.

ებრაელთა უბანი ახალი ორ-სამსართულიანი შენობებით აივსო, ხარაზებისა და თერძების რიგი აღებულია და მის ადგილზე ახალი მაღაზიები გაშენდება, ქალაქის გული დაგებულია ასფალტით, წვიმაში ქუჩა გაუვალ ჭაობს კი აღარ ემსგავსება, არამედ გაკრიალებულ სარკეს.

გაყვანილია წყალსადენი და ქალაქის ყველა უბანში [illegible] წყალი აქვთ. რიონჰესის ელექტრონსინათლე აბრწყინებს ქუთაისს, [illegible] წყლის მზიდველებს, აღარ ეზიდებიან კასრებით და დოქებით.

ისინი, ვინც ზურგზე კასრმოკიდებული „ცივის" გაჰკიოდა, რიონჰესის მშენებლობაზე ხუთი წლის განმავლობაში გამოიზარდნენ და ქუჩა-ქუჩა აღარ ჰყვირიან. მათ ქარხანა-ფაბრიკებში აქვთ მინდობილი საპატიო სასახელო სამუშაო.

აღარ ვაჭრობენ ბავშვები, აღარ იძახიან „ზნტირკა და მაზი". სკოლის მერხებზე სხედან, სწავლობენ, იზრდებიან.

ქუთაისის ბაღის ირგვლივ და მთავარი ქუჩების გაყოლებით გაზონებია გაშენებული. აქ დარგულია ამ კუთხისათვის უცხო მცენარეები: კრიპტომერია, ბამბუკები, მაგნოლიები, [illegible] დახრიალებენ მწვანედ შეღებილი ქრიალა ავტობუსები და ავტომობილები.

ქუთაისის ბაზარი, რომელიც ძველად ქალაქის ქუჩებში გადმოდიოდა და ჩარჩ-ვაჭრები [illegible] ვაჭრობდნენ თავიანთი ხონჩებისა და ნებისამებრ, დღეს კულტურულად მოწყობილ, შემოღობილ, მოწესრიგებულ ბაზარს წარმოადგენს. აქ კოლმეურნეებს მოაქვთ ბაღდათიდან ბაღდათური [illegible] ღვინო, ხონიდან ყველი და კარაქი, ტყიბულიდან დაკლული ქათმები, რაჭა-ლეჩხუმიდან [illegible] და კარაქი, [illegible]

[illegible] ოთხსართულიანი ქუთაისის სახელმწიფო თეატრი.

[illegible]

ქუთაისი განახლდა, შენდება ახალი ქალაქი ახალი ადამიანებით, ახალი ცხოვრებით.

[illegible]

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲮᲔᲓᲘ.

ᲤᲝᲢᲝ Ი. ᲛᲐᲚᲝᲤᲔᲔᲕᲘᲡᲐ.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტის განხილვა დეპუტატთა პალატაში

ერიოს სიტყვა

პარიზი, 20 თებერვალი. პალატის დღევანდელ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთ დახმარების ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

პირველ ორატორად გამოდის დორიო. რენეგატის გამოჩენას პალატის მრავალი სკამიდან ზიზღის გამომხატველი შეძახილებით შეხვდნენ.

დორიო გამოვიდა საზიზღარი ანტისაბჭოთა სიტყვით, რომელშიც აშკარად იცავდა გერმანიის ფაშიზმს.

როდესაც დორიო ტრიბუნიდან ჩამოდიოდა, მისმა ახალმა მეგობრებმა, პალატის უკიდურესმა მემარჯვენეებმა ტაშით, ხოლო მემარცხენეებმა და ცენტრის მემარცხენეებმა ზიზღის შეძახილებით გააცილეს.

დორიოს შემდეგ ტრიბუნაზე ადის ერიო. ერიო აცხადებს: ამ ტრიბუნიდან გაკეთებული იყო აურაცხელი უსაფუძვლო და ცრუ განცხადება კრემლზე. ხელშეკრულებისადმი მტრულად განწყობილი ორატორები ცდილობდნენ დაეკნინებინათ წითელი არმიის ძლიერება და მნიშვნელობა. ეს არმია, ლაპარაკობს ერიო, 1.300 ათასი კაცისაგან შესდგება. საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად დაწინაურდა აგრეთვე ტრანსპორტის დარგში. საყოველთაოდ ცნობილია საბჭოთა კავშირის ავიაციის ძლიერება, წითელი არმიის ტექნიკა განსაკუთრებით მაღალია და სრული საფუძვლით განაცხადა საფრანგეთის უდიდესმა სპეციალისტმა გენერალმა ლუაზომ, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო, წითელი არმია ერთ-ერთი ძლიერესი არმიაა ევროპაში.

ერიო აცხადებს, საბჭოთა კავშირისათვის ერთი მილიარდი ფრანკის სესხის მიცემის საკითხი, რომლის გამოც ანტისაბჭოთა წრეებმა დიდი აურზაური ასტეხეს, დასმული იყო საფრანგეთის მრეწველთა ინიციატივით და არაფერია საკვირველი, რომ საფრანგეთის მთავრობამ მიიღოს ზომები ამ კრედიტის განსახორციელებლად. ერიო ვადაკვრით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ გერმანიამ საბჭოთა კავშირს შესთავაზა კრედიტი და აცხადებს: თუ საფრანგეთმა არ მისცა კრედიტი, გერმანია მისცემს მას. ვინ არ იცის, საბჭოთა კავშირის გადამხდელუნარიანობა შეურყეველია. საბჭოთა კავშირის კომერციული ბალანსი აქტიურია და ამ ქვეყანაში არის ხელსაყრელი პერსპექტივები საფრანგეთის ვაჭრობისა და მრეწველობისათვის.

მემარჯვენე დეპუტატი დე ლასტეირი ადგილიდან ყვირის: მაშ გადაიხადონ მეფის დროის ვალები.

ერიო უპასუხებს: მეფის დროინდელი ვალების ფრანგი მფლობელები [illegible] მაგალითად, ჯერ კიდევ 1905 წელს არათუ მარტო სოციალისტები, არამედ ლიბერალების სხვა წარმომადგენლებიც რუსეთში აცხადებდნენ: ჩვენ რომ ჩავიგდებთ სათავეში ხელისუფლებას, მეფის ვალებს არ ვცნობთ. ამას გარდა, ერიო კითხულობს, უნდა ვიფიქროთ იმ ორატორების ზედაც, რომლებიც ამავე ტრიბუნიდან მოითხოვდნენ საფრანგეთმა არ უნდა გადაუხადოს ვალები ამერიკასო, რა [illegible] გამოდიან ახლა ეს პირნი და ლაპარაკობენ გაფიცხებულ სიტყვებს იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი მეფის ვალებს არ იხდის?

ერიო შემდეგ გადადის საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ანალიზზე. ის აღნიშნავს, რომ მიუხედავად ამ ხელშეკრულების მოწინააღმდეგეთა ყველა ინტერპრეტაციისა, მისი მოქმედების სფერო მხოლოდ ევროპაზე ვრცელდება. ამასთანავე გათვალისწინებულია, რომ ის მოქმედებას იწყებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აგრესია ეხება ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ტერიტორიას. ამას გარდა, ეს ხელშეკრულება სავსებით ეთანხმება ერთა ლიგის წესდებას და არც ერთი მომენტი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უარყოფილ იქნას ან სადაო გახდეს.

ერიო შემდეგ აცხადებს, საბჭოთა კავშირი ერთა ლიგაში შესვლის დღიდანვე ისეთ პოლიტიკას აწარმოებს, რომელსაც შეეძლო სამაგალითო გახდეს ლიგის სხვა წევრებისათვის. პირველ ყოვლისა საბჭოთა კავშირმა ფაქტიური დახმარება აღმოუჩინა კოლექტიური უშიშროების იდეას. ამას გარდა საბჭოთა კავშირი ერთსულოვნად გამოდიოდა საფრანგეთთან ერთად ყველა სადაო საკითხის შესახებ ერთა ლიგაში: საარის საკითხზე, სამხრეთ-სლავიისა და უნგრეთის კონფლიქტზე, ტერორიზმის განხილვის საკითხზე, გერმანიის შეიარაღების გამო და სხვა.

სამწუხაროდ, ამბობს ერიო, საფრანგეთის საზოგადოებრიობა ძალიან ცუდად არის ინფორმირებული საბჭოთა კავშირის პოზიციის შესახებ იტალია-აბისინიის კონფლიქტის თაობაზე. ამის გამო ერიო ურჩევს წაიკითხონ სიტყვა, რომელიც ამ ლიტვინოვმა წარმოსთქვა ერთა ლიგაში და რომელიც აღსავსე იყო ყველაზე მშვიდობიანი ზრახვებითა და მთლიანად ეთანხმებოდა ერთა ლიგის დედააზრს.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, განაგრძობს ერიო, არა მარტო სავსებით ეთანხმება ერთა ლიგის წესდებას, არამედ იგი ეთანხმება ლოკარნოს ხელშეკრულებასაც. ერიო მოაგონებს სხდომას, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ხელისმოწერის 23 დღის შემდეგ გერმანიის ნოტა აღიარებდა, რომ ლოკარნოს ხელშეკრულებას არავითარ შემთხვევაში არ შეეხება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება. ანალოგიური აზრი გამოსთქვა ინგლისმა და იტალიამ.

ერიო მოუწოდებს, ნუ დაივიწყებთ, რომ საფრანგეთი დაკავშირებულია ხელშეკრულებით რუმინეთთან, სამხრეთ-სლავიასა და ჩეხოსლოვაკიასთან. სამივე შემთხვევაში საფრანგეთმა იკისრა დახმარება და მფარველობა აღმოუჩინოს ამ ქვეყნებს. ჩეხოსლოვაკიამ ამასწინათ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირთან და ეს ხელშეკრულება მოქმედებას იწყებს მას შემდეგ, რაც რატიფიცირებული იქნება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება. ამრიგად საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება მნიშვნელოვნად ამტკიცებს იმ ტერიტორიას, რომელიც საფრანგეთს აქვს თავისი კავშირების გამოისობით. შემდეგ ერიო ენერგიულად გამოდის იმ მოსაზრების წინააღმდეგ, ვითომც საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას შეეძლოს გამოიწვიოს გერმანიის ეჭვები. როცა გერმანია საბჭოთა კავშირთან რაპალოს ხელშეკრულებას სდებდა, განაცხადა ერიომ, მას სულაც არ უთხოვნია ნებართვა საფრანგეთის პარლამენტისათვის. ასევე, როცა პოლონეთი და გერმანია ხელს აწერდნენ ხელშეკრულებას, არც მათ უთხოვნიათ საფრანგეთის პალატის ნებართვა. ერიო აცხადებს, მე მომხრე ვარ საფრანგეთისა და გერმანიის დაახლოვებისა, ვიდრე ვინმე, მე ამ მიმართულებით გავაკეთე მეტი, ვიდრე რომელიმე საფრანგეთის პოლიტიკოსმა. მაგრამ იძულებული ვარ ანგარიში გავუწიო იმ ფაქტს, რომ როდესაც გერმანიას წინადადება მისცეს ხელი მოეწერა აღმოსავლეთის პაქტზე, მან უარი სთქვა. განა შეიძლება ამისი პასუხისმგებლობა საფრანგეთს დაეკისროს? — აცხადებს ერიო.

დასასრულ ერიო აღნიშნავს, რომ ვიდრე განუხორციელებელია აღმოსავლეთის პაქტი, იგი ღია უნდა იყოს ყველასათვის. მე მინდა ვიფიქრო, რომ პოლონეთიც შეუერთდება ამ პაქტს. საჭიროა კოლექტიური უშიშროების პოლიტიკის განგრძობა და ღრმად ვარ დარწმუნებული საბჭოთა კავშირის ზრახვათა გულწრფელობაში ამ მხრით. საშიშროება, ჩემი აზრით, მდგომარეობს არა პაქტებსა და ხელშეკრულებებში, არამედ შეიარაღებათა იმ გაფართოებაში, რომელსაც ამჟამად ზოგმა ქვეყანამ მიმართა. საფრანგეთი წინანდებურად ერთგულია განიარაღების იდეისა. საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება არათუ ეწინააღმდეგება ამ იდეის განხორციელებას, არამედ ხელსაც უწყობს მას. საფრანგეთის მისწრაფებისათვის მშვიდობიანობისადმი საბჭოთა კავშირის დახმარება ძვირფასი იქნება.

ერიოს აზრით, არასწორი და უსამართლოც იქნებოდა უარვყოთ მეგობრობა იმ ხალხისა, რომელიც მშვიდობიანობას აფასებს უფრო ძვირად, ვიდრე სხვა რაიმე სიკეთეს. საბჭოთა კავშირს უსამართლოდ [illegible] თავის თავისუფლებაში [illegible]. საფრანგეთს ყველა ქვეყანაზე ნაკლები საფუძველი აქვს მტრულად მოეპყრას საბჭოთა კავშირს, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის ისევე, როგორც ჩვენ. რომ რამდენიმე წლის შემდეგ საბჭოთა კავშირი მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო გახდება, ერიო აცხადებს, რომ ის მოხიბლა საფრანგეთისადმი დამოკიდებულებამ საბჭოთა კავშირში. ის ფიქრობს, რომ ხალხთა დაახლოვება მშვიდობიანობის აუცილებელი გარანტია არის ხელშეკრულებაში. თუნდაც მცირედი რამ მაინც რომ იყოს აგრესიული, მე მის წინააღმდეგ მივსცემდი ხმას. მაგრამ რამდენადაც საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტი მხოლოდმხოლოდ თავდაცვითია, მე ხმას მივსცემ ამ დოკუმენტს, რომელიც არავის ემუქრება, რომელიც სავსებით შეესაბამება ლოკარნოს ხელშეკრულებას, რომელიც ხელს უწყობს ორი დიდი ხალხის დაახლოვებას, ნებას იძლევა ვაწარმოოთ ბრძოლა ყოველგვარი ომის წინააღმდეგ, ვამზადოთ იმის უზრუნველყოფა, რასაც ყველა ესწრაფვის — მშვიდობიანობის უზრუნველყოფა.

ერიოს არა ერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა მხურვალე ტაშით. პალატის მრავალ სკამიდან მისი სიტყვის ბოლომ ოვაცია გამოიწვია.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტის შესახებ კამათის გაგრძელება გადატანილია 25 თებერვლისთვის (ტას).

„ევრი" მომავალ ომში გერმანიის გეგმის შესახებ

პარიზი, 19 თებერვალი. ტაბუი „ევრში" სწერს, რომ სხვადასხვა ქვეყნების უდიდეს სამხედრო ავტორიტეტთა აზრით გერმანიაში შემუშავებულია სამხედრო მოქმედების საბოლოო გეგმა. გერმანია ომის გამოუცხადებლად ერთსა და იმავე დროს თავს დაესხმის პოლონეთის ჩრდილო ნაწილს და ჩეხოსლოვაკიის სამხრეთ ნაწილს. ამავე დროს [illegible] იწყებს ომს აღმოსავლეთში. ჰოლანდიაში გერმანელები სამ კოლონად შევლენ — ერთი კოლონა გაემართება [illegible]. მეორე რაინის ორივე ნაპირით და ეცდება დაიკავოს ჰოლანდიის დაცვის პირველი ხაზი.

მოტორიზებული ჯარების მესამე კოლონის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ [illegible] გეგმა [illegible] იმგვარად, რომ 24 საათის განმავლობაში დაიკავონ ჰოლანდია და შემდეგ ეკვეთონ ბელგიას, დაიპყრონ ჩრდილოეთის ზღვის ნავსადგურები, რათა მოახდინონ საფრანგეთის იზოლაცია ინგლისისაგან არა მარტო ხმელეთის მხრივ, არამედ წყალქვეშა ნავების დახმარებითაც. დემილიტარიზებულ ზონაში აღმართულმა სამხედრო ნაგებობებმა უნდა შეაჩერონ საფრანგეთის არმია და ხელი შეუშალონ მას დახმარება გაუწიოს თავის მოკავშირეებს. პოლონეთის არმიები ერთად შეუერთდნენ გერმანიის არმიებს, რათა თავს დაესხან ჩეხოსლოვაკიას, რომელსაც 10 დღეში უნდა მოუღონ ბოლო. ამის შემდეგ გერმანიის გეგმის თანახმად არმიებს საშუალება მიეცემათ შეიჭრან რუმინეთში და მისი ტერიტორიით — უკრაინაში.

ტაბუის სიტყვით, გერმანიის შტაბის გეგმასთან დაკავშირებით, გერინგის [illegible] პოლონეთში ამჟღავნებს [illegible] და ლონდონის ხელმძღვანელ წრეებს [illegible] გეგმის არსებობაში და ამიტომ პარიზის, [illegible] და სხვა ცენტრების საერთაშორისო წრეებში გავრცელებულ [illegible] საფრანგეთის ზოგიერთ წრეების საქციელის გამო ისეთ საკითხში, როგორიც არის ერთადერთი შესაძლო დახმარება ფრანგებისა, ინგლისელებისა და ბალკანეთის ქვეყნებისათვის ესოდენ მძიმე სიტუაციაში (ტას).

ჩეხოსლოვაკიის პრესა პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობის შესახებ

პრაღა, 20 თებერვალი. ჩეხოსლოვაკიის პრესა ყურადღებით ადევნებს თვალს გერმანიის ავიაციის მინისტრის გერინგის ყოფნას პოლონეთში. ნაციონალ-დემოკრატიული „ნაროდნი ლისტი", კომენტარს უკეთებს რა გერინგის მოგზაურობას, სწერს:

„გერმანია ახლა ყველაზე მეტად, ვიდრე ოდესმე, დაინტერესებულია იმით, რომ მეგობრული ურთიერთობა იქონიოს პოლონეთთან. გერინგის წინაშე დასახულია დიდი ამოცანა — აღმოფხვრას ან შეასუსტოს მაინც პოლონეთის უნდობლობა გერმანიის მეგობრობისადმი". „შეიძლება, — ამთავრებს გაზეთი, — გერინგმა მოახერხოს და ცოტა რამ გააკეთოს ამ მხრივ [illegible] და ბეკთან. მაგრამ იგი სრულიად ვერ აღწევს ასეთ პოლონეთის საზოგადოებრივ აზრთან, რომელიც ამ მეგობრობას უკვე დიდიხანია უყურებს სხვა თვალით, ვიდრე საგარეო საქმეთა მინისტრი ბეკი" (ტას).

ორდენოსანი საქართველო ზეიმის წინ

ტფილისი ზეიმის დღეებში

24 თებერვალს

ტფილისის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში [illegible] 24 თებერვალს გაიმართება მუშ. მოსამსახურეთა საერთო კრებები. ამ კრებებზე თავმჯდომარეები გააკეთებენ მოხსენებებს: „საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავი". კრებებზე დაჯილდოვდებიან სტახანოველებისა და [illegible]. ამავე დღეს ტფილისის ყველა სკოლაში მოეწყობა მოსწავლეთა საერთო კრებები. საღამოს 6-დან 9 საათამდე ტფილისის ყველა რაიონში სწავლის ფრიადოსნებისათვის მოეწყობა ბალ-მასკარადები, [illegible].

ბალ-მასკარადი მოეწყობა: [illegible] რაიონისათვის — ალიხანოვის სახელობის კლუბში, სტალინის რაიონისათვის — [illegible] კლუბში, კიროვის რაიონისათვის — ვოროშილოვის კლუბში, ორჯონიკიძის რაიონისათვის — რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში, 26 კომუნარის რაიონისათვის — მე-4 სკოლის ფიზკულტურის დარბაზში. ყველა საშუალო სკოლასა და ტექნიკუმში მოსწავლეებისათვის გაიმართება [illegible].

საღამოთი ტფილისის ყველა კლუბში, [illegible], კულტურისა და დასვენების პარკში, წითელი არმიის სახლში და აგრეთვე ყველა [illegible] მოეწყობა [illegible] კონცერტები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედანზე, რუსთაველის პროსპექტზე, ლენინის, ჩელუსკინელების და კომინტერნის ქუჩებზე მხატვრულად გაფორმებულ [illegible] ცენტრალიზებული [illegible].

ქალაქის [illegible] მოედნების [illegible].

[illegible]

25 თებერვალს

დილით 9-დან 3 საათამდე გაიმართება სამხედრო ნაწილების, [illegible], ფიზკულტურელების და ქალაქის მშრომელთა დემონსტრაცია.

დემონსტრაციაში მონაწილეობას მიიღებს 20 ათასი ფიზკულტურელი.

საწარმოების, დაწესებულებების და სასწავლებლების ხელმძღვანელების [illegible] ფიზკულტურის [illegible].

ქალაქის მშრომელებთან ერთად დემონსტრაციაში მონაწილეობას მიიღებენ ტფილისის სკოლების მოწაფეები მე-7 კლასიდან დაწყებული.

დემონსტრაციაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს რაიონებიდან მოწვეული 400 ცხენოსანი კოლმეურნე. მათ შორის: აფხაზეთიდან — 100 ცხენოსანი, სამეგრელოდან — 100 და აღმოსავლეთ საქართველოდან — 200 კაცი.

საქართველოს მონადირეთა კავშირი დემონსტრაციაში გამოიყვანს 600 მონადირეს. [illegible] 1500 [illegible].

დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ მოეწყობა [illegible]. დღის 4 საათიდან ქალაქში მოეწყობა მასობრივი სახალხო [illegible].

[illegible]

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავისათვის ხსნის [illegible] ფიზიკურ ლაბორატორიას და [illegible] კაბინეტს.

ზეიმის დღეებისათვის ქართულ და რუსულ ენებზე გამოვა ჟურნალი № 1 „[illegible]". შემდეგ ჟურნალი გამოვა 3 თვეში ერთხელ.

გამოიცემა აგრეთვე მხატვრული ალბომი, რომელიც ასახავს უნივერსიტეტის [illegible].

23 და 24 თებერვალს გაიმართება [illegible] საზეიმო სხდომები.

სურათზე, მარცხნივ: სომხური კულტურის სახლის სახვითი ხელოვნების სექციის კუთხე. მარჯვნივ საერთო დარბაზი.

დღეს იხსნება სომხური კულტურის სახლი

დღეს ტფილისში ზეიმით გაიხსნება სომხური კულტურის სახლი.

გახსნა ამ ახალი კულტურული კერისა, რომლის ამოცანასაც წარმოადგენს ქალაქ ტფილისში მცხოვრებ მშრომელ სომხობის კულტურული მომსახურება, უთუოდ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის აშკარა გამარჯვებაა, გამარჯვება, რომელიც მოპოვებულია ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ნაცადი ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას ყოველდღიური მზრუნველობითა და დახმარებით.

სომხური კულტურის სახლი თავის გარშემო შემოიკრებს ხელოვნების ყველა დარგის ყველა კულტურულ ძალებს. აქ მოხდება სხვადასხვა ეროვნების კულტურული ფრონტის წარმომადგენელთა შეხვედრები შემოქმედებითი კავშირის შემდგომ გასაღრმავებლად, გამოცდილებათა გასაზიარებლად და სხვ.

კულტურის სახლი მუდამ ფართოდ გამოეხმაურება სოციალისტური მშენებლობის ყველა ახალ მოვლენას. ხელს შეუწყობს მასების ინტერნაციონალურად აღზრდას, ახალი კულტურული კადრების გამოვლინებას.

სომხური კულტურის სახლში უკვე მუშაობენ ლიტერატურული, მუსიკალური, სახვითი ხელოვნების და დრამატული სექციები. ამ სექციებმა დღემდე დიდი მუშაობა გასწიეს. მაგრამ მათ წინაშე ამჟამად უფრო დიდი ამოცანები დგას. უკვე შედგენილი აქვთ მუშაობის კონკრეტული გეგმები, რომლებიც სავსებით შეესაბამება კულტურის სახლის წინაშე დასმულ ამოცანებს.

მაგალითად, მხატვართა სექციას განზრახული აქვს ჩააბას თავის მუშაობაში 50-მდე მხატვარი, მოქანდაკე და არქიტექტორი, რომლებიც მუშაობენ ქ. ტფილისში. სექციას დასახული აქვს ამოცანად ხელოვნების ყველა ამ მოღვაწეთა შეკავშირება; სექცია ყოველდღიურ დახმარებას გაუწევს მათ შემოქმედებითს ზრდაში, დაეხმარება — გაეცნონ საწარმოო და საკოლმეურნეო ცხოვრებას, რათა რეალისტურად ასახონ თავიანთ ნაწარმოებებში. ამ მიზნით სექცია მოაწყობს შემოქმედებით მივლინებებს, გამართავს დისკუსიებს მხატვრობის საკითხებზე. სექცია დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე ტფილისელ სომეხ მხატვართა ჩაბმას საბავშვო წიგნების რაც შეიძლება ლამაზად გაფორმებაში.

საკმაოდ პასუხსაგები ამოცანები აქვს დასმული კულტურის სახლის ლიტერატურულ სექციასაც, რომელმაც უკვე თავის გარშემო შემოიკრიბა ტფილისში მყოფი სომეხი კულტურული ძალები, და თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანა მუშათა კლუბებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და მშენებლობებზე. ამ სექციის შესრულებული აქვს სხვა მრავალი სამუშაოებიც, მაგრამ ამით ერთი წუთითაც არ კმაყოფილდება. შემდეგისათვის სხვა სამუშაოებთან ერთად ლიტერატურულ სექციას განზრახული აქვს მოაწყოს მწერლების შემოქმედებითი მივლინებები საბჭოთა საქართველოს მსხვილ მშენებლობებზე, მიამაგროს მწერლები ფაბრიკა-ქარხნებზე. განზრახულია მწერალთა ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ერთის მხრივ სოციმშენებლობის მიღწევათა შესასწავლად, ხოლო მეორე მხრივ — ფოლკლორის შესაგროვებლად.

ჩვენ აქ გაკვრით აღვნიშნეთ სომხური კულტურის სახლის მხოლოდ ორი სექციის მიერ გაწეული მუშაობა და ის ამოცანები, რომლებიც დასახული აქვთ მათ შემდგომი მუშაობისათვის.

ფართო და მეტად პასუხსაგები ამოცანები აქვთ დასახული დანარჩენ სექციებსაც.

გარდა არსებული სექციებისა, კულტურის სახლთან მოეწყობა ხელოვნების და საბავშვო ლიტერატურის სექციები.

სომხური კულტურის სახლის მასობრივი სექცია ყველა საშუალებას მიმართავს საქმიან-შემოქმედებითი კავშირის დასამყარებლად ფაბრიკა-ქარხნებთან, სომხურ ტექნიკუმებთან, სკოლებთან, თეატრებთან, კლუბებთან, ტფილისის კომკავშირულ და პიონერ-ორგანიზაციებთან.

სომხური კულტურის სახლი შეუდგა სომეხ მომღერალთა გუნდის, ვოკალური და აღმოსავლური ინსტრუმენტალური ანსამბლების ჩამოყალიბებას.

ლ. ა.

როგორ ემზადებიან რაიონები

ქუთაისი

უდიდესი მიღწევებით ხვდება ქუთაისის რაიონი საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის ზეიმს. ეს მიღწევები განსაკუთრებით თვალსაჩინოა კულტურულ ფრონტზე.

თვითმპყრობელობის და მენშევიკების ბატონობის პერიოდში ქუთაისის მაზრაში იყო 23 სკოლა, რომლებშიაც სწავლობდა 4.505 მოწაფე. ტექნიკუმები და უმაღლესი სასწავლებლები სულ არ იყო. ამჟამად რაიონის სასკოლო ქსელი გაიზარდა ხუთჯერ უფრო მეტად. 1936 წელს რაიონში მუშაობს 130 სასკოლო დაწესებულება 30 ათასი მოწაფით და 845 მასწავლებლით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქუთაისში გაიხსნა ახალი ტექნიკუმები (სამედიცინო, [illegible], აგრონომიული, [illegible], პედაგოგიური, [illegible] და სხვ.), მუშფაკი და აგრეთვე პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელშიაც სწავლობს 1600 [illegible].

წინათ ქუთაისს ჰქონდა ერთი ძველი თეატრი და კინოს ნახევრადდანგრეული შენობა. ამჟამად აქვს სახ. [illegible] თეატრი, ორი ხმოვანი კინო (ერთი ხმოვანი). მუშახალგაზრდობის თეატრი, სათეატრო კოლექტივები და კინოდარბაზები საწარმოებთან. აგრეთვე [illegible] მუშაობს მომღერალთა, [illegible] გუნდი რესპ. სახ. არტისტის კომპოზიტორ მ. [illegible] და მეთაურობით. ანსამბლი ც. [illegible] ხელმძღვანელობით.

ქუთაისის რაიონის საკოლმეურნეო სოფელი საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავს აღნიშნავს მთელი რიგი ახალი კულტურული კერების გახსნით.

კოლმეურნეობა „[illegible]" ამთავრებს ახალი კლუბის აგებას 600 ადგილით. პირველი სპექტაკლი ამ კლუბში გაიმართება 25 თებერვალს. ახალი კლუბი გაიხსნება აგრეთვე კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ([illegible] სასოფლო საბჭო). ამ კლუბთან არსებული აშენებს აგრეთვე კულტურისა და დასვენების პარკს. საბავშვო ბაღები მოეწყობა [illegible], მეჯვრისა და გეგუთის სასოფლო საბჭოებთან. სოფ. რიონში, კვახჭირში, დგნორში და გოდოგანში გაიხსნება ფოსტები.

სოფ. მაღლაკში, მუხიანში, ოფურჩხეთში და დგნორში იხსნება სამშობიარო სახლები. 20 — საწოლიან საკოლმეურნეო საავადმყოფოს ახალ შენობას სდებენ [illegible]. სოფ. ოფურჩხეთში სოფ. [illegible] გაიხსნება საკოლმეურნეო სასტუმრო და [illegible].

ზეიმის დღეებში ქუთაისში გაიხსნება სასწრაფო დახმარების საავადმყოფო 30 საწოლით და საბავშვო პროფილაქტიკური [illegible].

ბათუმი

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით 20 თებერვალს ბათუმში გაიხსნა საოლქო-სარაიონთაშორისო ბაზრობა. ბაზრობაში მონაწილეობას ღებულობენ, გარდა აჭარის რაიონებისა, [illegible], მახარაძის, გორის და სხვა რაიონები.

კოლმეურნეობებმა და მშრომელმა კოლმეურნეებმა მეურნეებმა საკოლმეურნეო ბაზრობაზე გამოიტანეს 40 ათასი მანეთის პროდუქტები.

ბაზრობაში მონაწილეობენ აგრეთვე ბათუმის სავაჭრო ორგანიზაციები (აჭარვაჭრობა, აჭარკავშირი და სხვ.). მარტო აჭარვაჭრობამ ბაზარზე გამოიტანა 50 ათასი მანეთის მზა ტანსაცმელი, 10 ათასი მანეთის სათუხარი ნივთები, 40 ათასი მანეთის საბავშვო ტანისამოსი და მაღალხარისხოვანი სხვა საქონელი.

გარეუბნებში საქონლის ჩამოსატარებლად მოეწყო ორი ავტომაღაზია.

სამტრედია

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის ზეიმის ჩამტარებელმა რაიონულმა კომისიამ 15 თებერვლიდან ფართო მუშაობა გაშალა. სარაიონო კომისიის მოთავეობით ყველა სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობებში გამოიყო კომისიები. სასოფლო საბჭოებზე მიმაგრებულია რაიონის აქტივი.

დღესასწაულთან დაკავშირებით გაიმართა დიდი ბაზრობა. ბაზარზე უხვადაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სამრეწველო საქონელი.

როგორც რაიონის ცენტრის მუშათა კლუბები, ისე საკოლმეურნეო კლუბები ემზადებიან დღესასწაულისათვის. რაიონში პირველად ეწყობა კოლმეურნეობათა თვითმოქმედ მომღერალთა გუნდების გამოსვლა 25 თებერვლისათვის. სარაიონო კომისიამ გამოარკვია ჯილდოსათვის ჯილდოდ გამოყო ტანსაცმელი — ფეხსაცმელი, ჩოხები და ახალუხები.

25 თებერვლის დღესასწაულთან დაკავშირებით რაიკავშირი აწყობს დიდ მოწყვეტილ [illegible] ამშენებს კირის ქარხანას, რომელიც დღეღამეში დაამზადებს 1000 ფუთ კირს. სამტრედიაში ამუშავდება სპირტის გადამამუშავებელი ქარხანა.

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის აღსანიშნავად უპატრონო ბავშვთა სახლის სოფელ ეწერში გადაეცა ორი ორსართულიანი და 15-ოთახიანი შენობა, აგრეთვე თავისი მეურნეობის მოსაწყობად — 5 ჰექტარი მიწა.

წარმოებებსა და კოლმეურნეობებში ზეიმის ჩამტარებელი კომისიები ადგილზე ვებენ სტახანოველ მუშებს და კოლმეურნეებს. ორი დღის განმავლობაში ჯილდო მიიღო 128 სტახანოველმა.

(საკ. კორ.)

კიროვის რაიონში

კიროვის სახელობის რაიონი განსაკუთრებით ემზადება საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავისათვის [illegible] სამეცნიერო ინსტიტუტებზე მიმაგრებული არიან საღებურ ჯგუფის წევრები, რომლებიც დახელოვნებულ აცნობენ საბჭოთა საქართველოს მიღწევებს და რაზმავენ დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად. 23 თებერვალს პირველი და მეორე საქვეყნიონ სადღეობოო ჯგუფების ინიციატივით მოწვეულია დიასახლისთა საზეიმო სხდომა.

კიროვის რაიონში მიიღწიადად ადგილი რიგი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოები, რომლებმაც გასული წლის გეგმა 102 პროცენტით შეასრულეს და ახალი მიღწევებით [illegible] ზეიმს. საწარმოებმა იკისრეს სტახანოვური წლის თებერვლის გეგმის 24-მდე შესრულება. გუშინწინ მოხდა ამ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. სარეწაო არტელის „[illegible]" საწარმოებმა უკვე შეასრულეს თებერვლის გეგმა. ტყავის დამამზადებელი ქარხანა მთელ თვის გეგმას 22 თებერვალს შეასრულებს.

გაცხოველებული მუშაობაა ქუჩების, ეზოების და სახლების დასუფთავებისათვის.

მწვანე ბაზარი აღაშენებული იქნა და სწორმოიპყა მისი კეთილმოწყობა.

25 თებერვალს რაიონის სახლები, ქუჩები და წარმოება - დაწესებულებები მორთვით წითელი არშიებითა და გირლანდებით.

სახელმწიფო აკადემიური გუნდი

საბჭოთა ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირის ხალხებს ნაციონალური კულტურის აღორძინება - განვითარების, ყოველგვარი შესაძლებლობა მისცა საქართველოში ამ მხრივ ფართო მუშაობა გაიშალა მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგში. კერძოდ მუსიკაში დიდი მიღწევებია მოპოვებული: შეიქმნა ქართული ნაციონალური ოპერა, ბალეტი, სიმფონია, გახსნილია მთელი რიგი სპეციალური სამუსიკო სასწავლებლები, ფართოდ განვითარდა თვითმოქმედი სამუსიკო შემოქმედება, დაარსდა საკვლევაძიებო მუსიკალური წერტები.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქართული ხალხური სამუსიკო ფოლკლორის შეკრება-შესწავლის საქმეს. ამ მიმართულებით მუშაობას აწარმოებს სახელმწიფო აკადემიური გუნდი, სხვადასხვა ეთნოგრაფიული ერთეულები, კონსერვატორიასთან არსებული ქართული მუსიკის კაბინეტი და საქ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

ამ ერთეულთა შორის საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავს თვალსაჩინო მიღწევებით ხვდება სახელმწიფო აკადემიური გუნდი რესპუბლიკის სახალხო არტისტის კომპ. ქ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. ეს გუნდი არსებობს 1921 წლიდან. მის დანიშნულებას შეადგენს ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედების ჩაწერა, გამოკვლევა, მხატვრულად დამუშავება და საჯაროდ გამოტანა.

15 წლის განმავლობაში გუნდმა ჩაიწერა და დასამუშავად მოამზადა 300 მეტი მხატვრულად დამუშავებული სიმღერა. გამოსცა რეგულარული სიმღერათა კრებული, ქართული ხალხური საკრავები, კერძოდ ჩონგურის გამოკვლევის შედეგად გუნდმა აღმოაჩინა მათი [illegible] და [illegible]. ამ გუნდმა პირველმა ჩამოაყალიბა ჩონგურების ანსამბლი, რომელიც ახლაც განაგრძობს კვლევაძიებას და რომლის მიხედვითაც საქართველოში მრავალი ასეთი ანსამბლი მოეწყო.

15 წლის განმავლობაში გუნდმა გამართა 1000-ზე მეტი საჯარო გამოსვლა ლექციონ-კონცერტების სახით. გუნდმა გამოიყვანა მთელი რიგი ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც შემდეგ თვალსაჩინო ძალებად გაიზარდნენ და წარმატებით უძღვებიან სხვადასხვა გუნდს.

საჯარო გამოსვლების დროს გუნდი ქართულ რეპერტუართან ერთად ასრულებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხთა სიმღერებს, თავისი გუნდი და ამით ხელს უწყობს მშრომელთა ინტერნაციონალურ მხატვრულ აღზრდას. ახლა გუნდი ასრულებს სიმღერებს 11 ენაზე (რუსული, უკრაინული, სომხური, თათრული, გერმანული, პოლონური, ებრაული და სხვა).

გუნდი სწავლობს და აგროვებს არა მარტო ხალხურ შემოქმედებას, არამედ კლასიკური მუსიკალური შემოქმედების ნიმუშებსაც (ბეთჰოვენი, მოცარტი, ჰაიდნი, ვაგნერი).

სახელმწიფო აკადემიური გუნდი ამჟამად შესდგება [illegible] ადამიანისაგან. გუნდთან არსებობს მეჩონგურეთა ანსამბლში 24 [illegible]. 15 წლისთავისათვის გუნდს მომზადებული აქვს სპეციალური მხატვრული პროგრამა.

[illegible]

ოქტომბერი
6.30 8 9.30 11

დამკვრელი
6.30 8.10 10.30

ახალი ამბები
6.30 8.30 10.30

რ. ლიუქსემბურგის სახ.
6.0, 8, 9.30, 11

„ზარ"-ის კომუნ. სახ.
6.30 8.1 10

დადგმის [illegible]
„უჩინარი ადამიანი"

ხმოვანი [illegible]
„დ ე დ ა" მ. გორკის თხზ. მიხედვით

ხმოვ. ჟურ. 1) საბჭ. საქართვ. № 1—36 [illegible], 2) [illegible] და მარტის [illegible], 3) [illegible] ამბები № 2

დადგმის [illegible]
„ბ უ რ თ ი დ ა გ უ ლ ი"

ხმოვანი ფილმი
„[illegible]"

რუსთაველის თეატრი
1935—36 წ. სეზონი

25 თებერვალს ღია წარმოდგენა
პრემიერა ს. კლდიაშვილის
შემოდგომის აზნაურები
კომედია 3 მოქმედებად დ. კლდიაშვილის მიხედვით.

დადგმა კ. პატარიძისა.
მუსიკა ხელოვ. დამს. მოღვაწის ი. ტუსკიასი.
მხატვარი დ. თავაძე.
ასისტენტი ბ. გუგუნავა.
ტექნიკური რეჟისორი შ. წერეთელი.
ქორეოგრაფი მ. ბორჩხაძე.
ტანსაცმ. მხატვარი გ. ბაქრაძე.

2-1 65 სალარო ღია 11—2 6—9 საათ. დასაწყისი 7-ნახ. საათზე.

„**სოიუზპეჩატის**" საქ. კანტორა
უტილნედლეულს ღებულობს
შემდეგ პუნქტებზე:

1. ტფილისის ქალაქის კანტორა—მიასნიკოვის ქ. № 88.
2. ტფილისის უტილფაბრიკა—კომუნალური ქ. № 44.
3. ქუთაისის დამამზად. კანტორა—ქუთაისი.
4. ბათუმის დამამზად. კანტორა—ბათუმი.
5. სოხუმის დამამზად. კანტორა—სოხუმი.
6. სენაკის (ცხაკაია) დამამზად. პუნქტი—სენაკი (ცხაკაია).
7. სამტრედიის დამამზად. პუნქტი—სამტრედია.
8. ზესტაფონის (ჯუღელი) დამ. პ.—ჯუღელი.
9. ოზურგეთის (მახარაძის) დამ. პუნქტი—მახარაძე.
10. ბორჯომის დამამზად. პუნქტი—ბორჯომი.
11. დუშეთის დამამზად. პუნქტი—დუშეთი.
12. ახალციხის მიმღ. პუნქტი—ახალციხე.
13. ალბულაღ-მანგლისის მიმღ. პუნქტი—ალბულაღ-მანგლისი.
14. ლაგოდეხის დამამზად. პუნქტი—ლაგოდეხი.
15. ფოთის დამამზად. კ-რა—ფოთი.
16. ლუქსემბურგის დამამზად. პუნქტი—ლუქსემბურგი.
17. საგარეჯოს დამამზად. პუნქტი—საგარეჯო.
18. თელავის დამამზად. პუნქტი—თელავი.
19. წნორისწყლის დამამზადებ. პუნქტი—წნორი.

64 „სოიუზპეჩატის" საქ. კ-რა.

ქალ. ტფილისის მოქალაქეთა საყურადღებოდ

26 კომუნარის სახელ. რაიონის მცხოვრებთა უკეთ მომსახურების მიზნით
1936 წლის 19 თებერვლიდან ტფილავტოტრანსის ტრესტი ხსნის
ავტობუსების მოძრაობის ახალ მარშრუტს:

26 კომუნარის მოედნიდან, კალინინის დაღმართი, 19 თებერვლის ქუჩა, კარლ მარქსის მოედანი—პლეხანოვის პროსპექტი—სადგური და უკან.

75 ტფილავტოტრანსის დირექცია.

„**ლეგმრეწვაჭრობა**"
„ს ა მ ტ რ ე ს ტ ი"
საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავს ხვდება
კარგათ მოწყობილი სამი საჩვენებელი მაღაზიით
(რუსთაველის გამზირი № 32, ლენინის ქუჩა № 32, პლეხანოვის გამზირი № 95),
რომლებიც ვაჭრობენ მაღალხარისხოვანი ღვინით, კონიაკით, ლიქიორით, არყით, სხვადასხვა მრავალნაირი ნაწარმით და გასტრონომიული პროდუქციით.
63

დამწუხრებული მეუღლე ეფემია შვილებით: ქეთინო, ალექსანდრე, მარუსა, ქეთო, თამარ, ნადია, რძალი ნინო, სიძეები: პარმენ ლორია, ალექსანდრე [illegible] იუწყებიან
გოგო ალექსანდრეს ძე მგელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ოცდასამს ქობულეთში.

დამწუხრებული დედა ანიკო, ცოლი სონია, ძმა [illegible] არუთინოვები. დები: სანდუხტა, კარინე, სიძეები: ალექსანდრე, ბაგრატ იუწყებიან
არშაკ არუთინოვის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ს. ნინოშვილის 25. გამოსვენება ოცდახუთში 5 ს. 12978.

ქეთინო, კოწია, იულია, ქეთო, ძაკო, ელენე ხარაბაძეები, გიგა მირიაშვილი, კეკელი წერეთელი იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ
ბიძიკო ხარაბაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება [illegible] 39. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 12954

[illegible] ორგანიზაცია, სტუდენტთა კომიტეტი და სტუდენტობა იუწყებიან [illegible] დირექტორის დავით [illegible]
მამის გიორგის ძის [illegible]
გარდაცვალებას. დაკრძალვა [illegible]. 12972

დამწუხრებული ძმა გიორგი (ლორა) მეუღლით ლიდიათი, სიდედრით მარიამით იუწყებიან ესაყვარლესი
ლუდმილა თედორეს-ასული კახიანის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 თებერვალს, [illegible] ქ. 30. 12988

[illegible] იუწყებიან
[illegible] ბორგასლიძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება [illegible] 1-ლ საავადმყოფოდან 23 თებერვალს 4 ს. 12983

ცოლი ნინა, შვილები: ილიკო, თამარი, სიდედრი სოფიო და სიძე გოგოლ შვილით [illegible] იუწყებიან
[illegible] მიხეილის ძე ლოსაბერიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22 თებერვალს 7 საათზე. გამოსვენება 23 თებერვალს 4½ საათზე ბარნოვის ქ. № 2

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის [illegible] თეატრის დირექტორს [illegible] მამის
[illegible] ნოდიას
გარდაცვალების გამო. 60

მე-30 სკოლის დირექცია და პედპერსონალი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე სკოლის მასწავლებელ ელია რამაზაშვილის მამის
შ ი ო ს
გარდაცვალების გამო. 12974

აკაკი და ალექსანდრა [illegible] ამხანაგ ლეონიდე მეგრელაძეს მისი მეუღლის
პელაგია მეგრელაძის
გარდაცვალების გამო. 62

დამწუხრებული ცოლი მარიამ [illegible], შვილები: შალვა, ოთარ, ცუცუნა, ზურაბი, რძალი ნადია იუწყებიან
[illegible] რატიანის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 4 ნახ. ს. [illegible] 4, ვერის სასაფლაოზე. 12955

[illegible] იუწყებიან
სუსანა სერგოს-ასულ კაჭარავას
უდროოდ გარდაცვალებას [illegible]. 12931

[illegible]
ი უ რ ი ა ს
უდროოდ [illegible] დაკრძალვა 25 თებერვალს [illegible]. 12989

[illegible] იუწყებიან
[illegible] ფალავას
[illegible] გარდაცვალებას. 12904

[illegible] 23 თებერვალს [illegible]
აკაკი ხუხუნაიშვილის
გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო [illegible]. 12976.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 8341.